რუსმა სამხედროებმა „აირზენას„ გაკოტრება განიზრახეს
A3

სასამართლომ ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა - ასეთია პარტიათა ვერდიქტი
A3

მოსამართლისა და დეპუტატის კინკლაობამ "თავისუფლების ინსტიტუტი" მოპასუხეობას გადაარჩინა
A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 7 აგვისტო, 2002 წელი. №66

ფასი 50 თეთრი

# ახალი დიდი ომი საქართველოს სამხრეთით - რას უნდა ველოდეთ ამერიკა-ერაყის დაპირისპირებისაგან?

გიორგი ხელაშვილი

*შეერთებული შტატების მიერ ერაყის წინააღმდეგ ახალი ომის დაწყება სულ უფრო უეჭველი ხდება. პანკისის პრობლემის გამწვავების გამო, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება რუსეთის როლი ახალ ანტიტერორისტულ კოალიციაში.*

სულ რამდენიმე თვის წინ, ავღანეთში ომის დაწყებისას, ამერიკა-რუსეთის უპრეცედენტო დაახლოებით დაბნეული ქართველი პოლიტიკოსები შიშით ელოდნენ რუსეთის "სადამსჯელო" ანტიტერორისტულ სამხედრო მოქმედებებს პანკისის ხეობაში. მხარდაჭერის სანაცვლოდ, ჯორჯ ბუშს, შეიძლებოდა, რუსეთისთვის საქართველოს "თავი ეჩუქებინა". სინამდვილე სხვაგვარი აღმოჩნდა. შეერთებული შტატების ანტიტერორისტული ომი ავღანეთში მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ამერიკელთა გავლენის ზრდით აღინიშნა, მათ შორის - საქართველოშიც.

გაგრძელება A4 გვერდზე



ამერიკელი სამხედროები შესაბამის ლანდშაფტში ემზადებიან

# ცივი უარი რუსეთს

## საქართველოს გენპროკურატურა კანონს უპრეცედენტო პრინციპულობით იცავს

სოფიკო ჩხაიძე

რუსეთის გენერალური პროკურორის საქართველოში გამოფრენამდე, ვლადიმირ პუტინმა მის ვიზიტს პოლიტიკური ფონი შეუქმნა და განაცხადა: – იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად აღმოჩნდებიან საქართველოში დაკავებული ჩეჩნები ლეფორტოვოს იზოლატორში, მოსკოვი განსაზღვრავს, რამდენად სერიოზულია თბილისის ძალისხმევა ტერორიზმთან ბრძოლის საქმეშიო.

საქართველოს ანტიტერორისტულ განწყობაზე დასკვნების გამოტანის საშუალება რუსეთის პრეზიდენტს გუშინვე მიეცა – საქართველოს გენერალურმა პროკურორმა მასთან სტუმრად მყოფი რუსი კოლეგა ცივი უარით გაისტუმრა, ანუ ნუგზარ გაბრიჩიძე არ დათანხმდა დაკავებული 13 ჩეჩნის რუსეთში ექსტრადირებას, რადგანაც რუსულ მხარეს საამისოდ საჭირო დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით, დაკავებულ ჩეჩნებს ქართული კანონებით გასამართლება ელით. ამას ითხოვენ თავად დაკავებულებიც, რომლებიც

გაგრძელება A4 გვერდზე

# დაკავებულ ჩეჩნებს სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ

თამარ კაციტაძე

გუშინ დაკავებულ ჩეჩენი ეროვნების რუსეთის მოქალაქეებს: ჰანზად ისაევს, ხოსეინ ხაჯაევს, რიზვან რისიტოვს, ჰუსეინ აზიევს, აბდულ ვაჰაბ შამაევს და ფეიზუმ ბასარიევს თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოში, დახურულ კარს მიღმა, სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. მეშვიდე პატიმარი რუსლან თეფსაევი, ავადმყოფობის გამო, ბადრაგს სასამართლოში არ მიუყვანია. იგი მუცლის არეში არის დაჭრილი, რის გამოც სასამართლოს თავჯდომარემ, მამუკა ნოზაძემ მას აღმკვეთი ღონისძიება რესპუბლიკურ საავადმყოფოშივე შეუფარდა.

ჩეჩენ პატიმრებს ბრალი წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად უკანონო გადმოკვეთის, ცეცხლსასროლი იარაღის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით გადმოზიდვისა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრ-

გაგრძელება A4 გვერდზე

# საგადასახადო დეპარტამენტი „თეთრი„ ფქვილით ცხობას ითხოვს

გვანცა კვინიკაძე

*ივლისის გეგმის გადაჭარბებით (104.2 პროცენტი) შესრულების შემდეგ, საგადასახადო დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აგვისტოში ამოქმედებულ იმ შესწორებებს უთმობს, რომლებიც პურის წარმოებაში ფიქსირებული გადასახადის შემოღებასა და დეპარტამენტის მიერ საწარმოებიდან ნარჩენი დავალიანების სასამართლოს ჩარევის გარეშე ამოღების შესაძლებლობას იძლევა. პირველი შესწორების მეშვეობით, საგადასახადო დეპარტამენტი პურის ბიზნესის გათეთრებას, მეორეს წყალობით კი, საწარმოების ნახევარ-მილიარდიანი ნარჩენი დავალიანებებიდან ნაწილის ამოღებას მაინც იმედოვნებს.*

ახალი წესის თანახმად, პურის წარმოებისთვის დაწესებული ფიქსირებული გადასახადი თვეში, მოქმედი ღუმელის საცხობი ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე 320, ხოლო თითოეულ თონეზე – 400 ლარს შეადგენს. საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი, ამ ცვლილების მეშვეობით, პურის წარმოებიდან საბიუჯეტო შენატანების 15-20 პროცენტით გაზრდას ელის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქაოსი „ელექტროკავშირის„ გარშემო

## სიტუაცია დღითი-დღე უფრო აბსურდული ხდება

გიორგი კალანდაძე

გვანცა კვინიკაძე

"ელექტროკავშირის" საქმეში გუშინდლამდე, ერთადერთ საეჭვო სუბიექტად მიჩნეული "სელფორდის" გარდა, აღმოჩნდა, რომ სერიოზული ეჭვები კონტრაქტის მესამე მონაწილის, "ტელენორ მენეჯმენტ პარტნერსის" მიმართაც არსებობს. ამერიკული კომპანიის, "მეტრომედიას" წარმომადგენლის, ზურაბ ჩიგოგიძის აზრით, "ტელენორიც," შესაძლოა, ისეთივე ოფშორია, როგორც "სელფორდი" და ამ ორ კომპანიას ერთი და იგივე პატრონი ჰყავს. თუ ეს ეჭვი გამართლდა, იმ კითხვასაც გაეცემა პასუხი, თუ როგორ აღმოჩნდნენ "ელექტროკავშირის" ხელშეკრულებაში საქვეყნოდ ცნობილი ნორვეგიული კომპანია "ტელენორი" და გაურკვეველი წარმომავლობის, ოფშორულ ზონაში დაფუძნებული "სელფორდი" თანაბარუფლებიან პარტნიორებად.

"საქართველოს ელექტროკავშირის" მენეჯმენტ-კონტრაქტის საფუძველზე "ტელენორისა" და "სელფორდისთვის" მართვაში გადაცემა, შესაძლოა, ერთიანი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი აღმოჩნდეს, რომლის მიზანი სახელმწიფო საწარმოს ხელოვნური გაკოტრება და შემდეგ, წინასწარ უკვე შეგულებული მყიდველისთვის, მისი ჩალის ფასად მიყიდვა იქნება. ექსპერტთა მოსაზრებით, ეს პროცესი 2000 წელს დაიწყო, როდესაც ჩაიშალა საქართველოს კავშირგაბმულობის ორი მსხვილი კომპანიის – "ელექტროკავშირისა" და "საქართველოს ტელეკომის" პრივატიზება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "დემოკრატებს" ჭორბენაძეზე თავდასხმა "ჩაუვარდათ"

თამარ ხორბალაძე

**"სახელმწიფო მინისტრის მაგიდაზე უკვე ექვსი თვეა, დევს "თბილგაზის" რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ქართველმა სპეციალისტებმა მოამზადეს და რომელიც, შეიძლება, თბილგაზის "იტერასთვის" მიყიდვის ალტერნატიულ გზად გამომდგარიყო. უკვე ექვსი თვეა, ეს პროექტი სახელმწიფო მინისტრმა განხილვის ღირსი არ გახადა".** - "დემოკრატთა" ჩანაფიქრი, რომ საპარლამენტო ფრაქციის სხდომას საკრებულოელი დავით ხუციშვილის ეს სიტყვები გაჰყოლოდა ლაიტმოტივად, თავად პროექტის ავტორმა, "საქტრანსგაზმრეწვის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, ვანო ზაზაშვილმა ჩაშალა. ტრიბუნაზე გამოჩენისთანავე მან დიდი კმაყოფილება და დაუშრეტელი ოპტიმიზმი გამოამჟღავნა იმის გამო, რომ ორშაბათს სახელმწიფო მინისტრისაგან მიიღო პასუხი-რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართული პროექტი უახლოეს პერიოდში მთავრობის განხილვის საგნად იქცევა.

უფრო მეტიც - ვანო ზაზაშვილმა ფრაქციის თავმჯდომარის, გია ბარამიძის არაერთგზის თხოვნას, ამ პროექტის ძირითადი არსის წარმოდგენის თაობაზე, ფაქტობრივი იგნორირებით უპასუხა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პოლიციამ ქავთარაძის ქუჩაზე „მძაფრსიუჟეტიანი" ოპერაცია მოაწყო

მაია ურუშაძე

გუშინ საღამოს, გადაჭრილი თოფით, "ბერეტას" სისტემის "გოლდსტარის" ტიპის პისტოლეტითა და ორი ცალი "პდე"-ს ტიპის ხელყუმბარით შეიარაღებულმა სამმა მძარცველმა, თბილისი-წყნეთის მიმართულებით მიმავალი მიკროავტობუსი დააყაჩაღა. მძარცველებმა მიკროავტობუსის მძღოლს ფული, მგზავრებს კი – ოქროეულობა და ხელჩანთები წაართვეს. **"ოპერატიული ინფორმაციის მიღებისთანავე, პოლიცია დაედევნა მათ, მაგრამ ისინი სასაფლაოდან ჯიქიას ქუჩაზე გადავიდნენ და დაწინაურდნენ,"** – აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ ხაჟალია. ჯიქიას ქუჩაზე მძარცველებმა "06"-ის მარკის ავტომანქანაც გაიტაცეს და დიდი სისწრაფით დაიძრნენ ცენტრის მიმართულებით, ხოლო როცა უკან დადევნებული პოლიციელები შენიშნეს, ქავთარაძის ქუჩაზე "პდე"-ს ტიპის ხელყუმბარა ისროლეს, ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ კი, მართვა დაკარგეს, ჰაერში მანქანით რამდენჯერმე ამოტრიალდნენ და უკვე ყაზბეგის გამზირზე მდებარე კაფე "ჩარგალში" შევარდნენ. ორი მძარცველი მაშინვე მიიმალა, მესამეს კი, რომელიც ავარიის გამო მსუბუქად დაშავდა, პოლიციამ მიუსწრო და დააკავა. ნაძარცვი ოქროეულობა, ხელჩანთები, გადაჭრილი თოფი, პისტოლეტი და ხელყუმბარა სამართალდამცავებმა მანქანიდან ამოიღეს. დაკავებულის წინააღმდეგ კი აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ქავთარაძის ქუჩაზე ხელყუმბარის აფეთქებისას მძიმედ დაიჭრნენ ქუჩაში მიმავალი ქალი და ბავშვი, ასევე, პოლიციის ორი თანამშრომელი. დაშავებულები სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს. **"პოლიციამ ივაჟკაცა, მათი ლიკვიდაცია იქვე იყო შესაძლებელი, მაგრამ ხალხს მოერიდნენ,"** – აცხადებს ხაჟალია. მისი განცხადებით, პოლიციისთვის ორი გაქცეული დამნაშავის ვინაობაც ცნობილია.



*პოლიციამ ყაჩაღთა ჯგუფის ერთი წევრი შეიპყრო*

ბესო გულაშვილის ფოტო

# სოფლის გამგებლის აფიორა კრახით დამთავრდა

მაია მოსიაშვილი

წალკის რაიონის სოფელ გუმბათის 82 მცხოვრები ხუთი დღის მანძილზე რუსთავის მერიის წინ არსებულ სკვერში იყო დაბანაკებული და იქვე ათევდა ღამეს. გუმბათელები ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულთან ლევან მამალაძესთან აუდიენციას ელოდნენ. ხუთდღიანი ლოდინის შემდეგ, შეხვედრა შედგა. გუმბათელებმა გუბერნატორს აუწყეს, რომ სოფლის 95 პროცენტი უნდობლობას უცხადებს ახლადარჩეულ საკრებულოს და სოფლის გამგებელს, რადგან მათ თანამდებობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუებით, სოფლის ხარჯზე ფულის შოვნა მოინდომეს. მამალაძესთან შეხვედრაზე მისული ხალხი ახლანდელი გამგებლის მათთვის სასურველი კანდიდატურით შეცვლას ითხოვდა.

სოფელსა და მის საკრებულოს შორის კონფლიქტის მიზეზად გუმბათელები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ გამგებელმა ხალხს დაუმალა, ნავთობსადენი და გაზსადენი მათ სოფელზე რომ გაივლიდა. მიწის ნაკვეთები, რომლებზეც უცხოელები კომპენსაციას გადაიხდიან, საკრებულომ და გამგებელმა ჩუმად გადაანაწილეს საკუთარ ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე. 16 კაციან სიაში 4 გამგებლის, 4 საკრებულოს დეპუტატის ოჯახიდანაა და ა.შ. სოფელმა ამის შესახებ გუმბათში ასული "ბრითიშ პეტროლიუმის" წარმომადგენლებისაგან შეიტყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სასამართლომ ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა - ასეთია პარტიათა ვერდიქტი

თამარ მჭედლიშვილი

***უზენაესი სასამართლოს მიერ არჩევნების შედეგების ოქმის გაუქმების მეორე დღეს, პოლიტიკური სპექტრი უკვე ღიად აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება უაღრესად გაამწვავებს ისედაც დაძაბულ პოლიტიკურ ფონს. პოლიტიკოსები არც იმას გამორიცხავენ, რომ პროცესები არაპროგნოზირებადი გახდება და პარტიათა უმეტესობა თბილისში შექმნილ თვითმმართველობით ვაკუუმს პოლიტიკური ქულების ჩასაწერად გამოიყენებს.***

სხვათა შორის, სასამართლო კოლეგიის ამგვარი გადაწყვეტილება ყველაზე მოულოდნელი ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის აღმოჩნდა. კომისიის წევრები მაინც იმედოვნებდნენ, რომ სასამართლო არ დააკმაყოფილებდა სარჩელს და, შესაბამისად, ბიულეტენების გადათვლისთვის თავს არც არავინ მოიკლავდა. შემდეგ კი ეს პროცედურა თავისთავად დაკარგავდა აქტუალობას – ახალი საკრებულო თავად შეეწინააღმდეგებოდა გადათვლის გაგრძელებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | |
| ქუთაისი | 28 | |
| ბათუმი | 26 | |
| სოხუმი | 26 | |
| ფოთი | 27 | |
| თელავი | 29 | |
| ზუგდიდი | 28 | |
| გორი | 26 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1251 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.3823 |
| რუბლი | 0.0691 |

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A4 უცხოეთი A4 სამართალი

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

## დადგენილება

ქ. თბილისი 2002 წ.

"საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ზღვრული ტარიფების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 22 მაისის №5 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ბაზრის დარეგულირების და სატარიფო სისტემის მოწესრიგების მიზნით "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 46-ე და 47-ე მუხლების, 55-ე მუხლის მე-6 პუნქტის და "ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 და მე-7 მუხლების შესაბამისად

## კომისიამ დაადგინა:

1. "საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ზღვრული ტარიფების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 22 მაისის №5 დადგენილებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) დამტკიცდეს "საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ზღვრული ტარიფები" ახალი რედაქციით (თან ერთვის).

ბ) დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. დადგინდეს საქართველოში შემომავალი საერთაშორისო გამოძახების ადგილობრივი კავშირით მომსახურების ოპერატორების ქსელებში დასრულების ტარიფის ქვედა ზღვარი 14 თეთრის ოდენობით, ფიჭური მობილური კავშირით მომსახურების ოპერატორების ქსელებში - 25 თეთრის ოდენობით, ხოლო ზედა ზღვარი ორივე შემთხვევაში თავისუფალია. ლიცენზიის მფლობელებმა საქართველოში შემომავალი საერთაშორისო გამოძახების დასრულების ტარიფი შეუსაბამონ წინამდებარე დადგენილების ამ პუნქტის მოთხოვნებს დადგენილების ამოქმედებიდან 14 სამუშაო დღის ვადაში".

გ) დადგენილების მე-3 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3 1. გადახდის წინასწარი ფორმის (მომსახურების მთლიან საფასურზე სადეპოზიტო წინასწარი შენატანების ან საბარათო წინასწარი გადახდის ფორმის გამოყენებისას) საქართველოდან გამავალი საერთაშორისო გამოძახებების განხორციელებისას ამ დადგენილებით განსაზღვრული საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ქვედა ზღვრული ტარიფები მცირდება 15 %-ით".

დ) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3 2 და 3 3 პუნქტები:

"3 2. საერთაშორისო კავშირით მომსახურების მიმწოდებელმა ოპერატორებმა მომსახურების ტარიფების გამოქვეყნებისას შეთავაზების წინადადებაში მიუთითონ განხორციელებული ზარების საფასურის გადახდის ადგილი".

"3 3. საერთაშორისო კავშირის ოპერატორების ადგილობრივი კავშირით მომსახურების ოპერატორებთან (ფიქსირებული ქსელის ოპერატორებთან) ურთიერთჩართვა უნდა განხორციელდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ ისეთ ურთიერთჩართვის წერტილში, სადაც ტექნიკურად შესაძლებელია ორივე ოპერატორის მხრიდან გამავალი და შემომავალი საერთაშორისო ტრაფიკების საბილინგო აღრიცხვა".

ე) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 4 1 პუნქტი:

"4 1. საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ტარიფების ოდენობები უნდა დადგინდეს ამ დებულებით განსაზღვრულ ფარგლებში კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირები არ იხდიან დამატებული ღირებულების გადასახადს".

ვ) დადგენილების მე-6 პუნქტიდან ამოღებული იქნას სიტყვები "სათანადო გაანგარიშებით".

ზ) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 6 1 პუნქტი:

" 6 1. ლიცენზიის მფლობელებმა წინამდებარე დადგენილების ამოქმედებიდან ყოველი გასული საანგარიშო თვის 20 რიცხვში კომისიას წარუდგინონ ყოველთვიური ინფორმაცია საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების საქართველოდან გამავალი და შემომავალი ტრაფიკების (მოცულობებისა) და მიღებული შემოსავლების შესახებ ამ დადგენილებით განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით".

თ) ამოღებული იქნას დადგენილების მე-7 პუნქტი.

2. დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიულ სამსახურს (გ. კვერენჩხილაძე) დადგენილების საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: ვ. აბაშიძე

დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის 2002 წლის დადგენილებით

### საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ზღვრული ტარიფები
(მომსახურების ერთ წუთზე დღგ-ს ჩათვლით)

ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების ოპარატორების მომხმარებლებისათვის

| | საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების მიმართულებები | ზღვრული ტარიფები | |
|---|---|---|---|
| | | ქვედა ზღვრული ტარიფი (ლარი) | ზედა ზღვრული ტარიფი (ლარი) |
| 1. | აშშ, კანადა და რუსეთი | 0.50 | 0.80 |
| 2. | სხვა ქვეყნები | 0.70 | X |

ფიჭური მობილური სატელეფონო კავშირით მომსახურების ოპარატორების მომხმარებლებისათვის

| | საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების მიმართულებები | ზღვრული ტარიფები | |
|---|---|---|---|
| | | ქვედა ზღვრული ტარიფი (ლარი) | ზედა ზღვრული ტარიფი (ლარი) |
| 1. | აშშ, კანადა და რუსეთი | 0.70 | X |
| 2. | სხვა ქვეყნები | 0.90 | X |

შენიშვნა: X - ზედა ზღვრული ტარიფი არ დგინდება

# განმარტებითი ბარათი

"საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ზღვრული ტარიფების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 22 მაისის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტზე

"საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ზღვრული ტარიფების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 22 მაისის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ კომისიის დადგენილების პროექტი შემუშავებულია "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 46-ე და 47-ე მუხლების, 55-ე მუხლის მე-6 პუნქტის და "ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 და მე-7 მუხლების შესაბამისად.

კავშირგაბმულობის დარგში და, კერძოდ, მომხმარებლების საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების სრულყოფის პროცესში კანონმდებლობით დადგენილი პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს საქმიანობის ამ სფეროში თანასწორუფლებიანი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და მომხმარებლების საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ხარისხიანი მომსახურებით უზრუნველყოფას.

საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ტარიფების რებალანსირების დაგეგმილი პროცესის პირველი ეტაპი დაიწყო "საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ზღვრული ტარიფების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 22 მაისის №5 დადგენილების მიღების შემდგომ.

აღნიშნული დადგენილების მიღებიდან გასულ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კავშირგაბმულობის და კონკრეტულად საერთაშორისო კავშირით მომსახურების სფეროში, კერძოდ, პრაქტიკულად საქართველოს ყველა ოპერატორს შორის კანონმდებლობით განსაზღვრული ურთიერთჩართვის ხელშეკრულებების გაფორმებამ ხელი შეუწყო რეალური ფასწარმოქმნის სატარიფო სისტემის ჩამოყალიბებას, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კავშირით მომსახურების საცალო სეგმენტებზე. ოპერატორების მიერ ურთიერთჩართვის შეთავაზებით საჯაროდ გამოქვეყნებულ წინადადებებში გაცხადებულ (კომისიის ინტერნეტ გვერდზე) ურთიერთჩართვის ტარიფებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა საერთაშორისო გამავალი და შემომავალი ზარების საფასურში საქართველოს ოპერატორების დანახარჯების კომპონენტების სრულყოფილი გაანგარიშება.

ურთიერთჩართვის ხელშეკრულებების გაფორმებამდე ფასწარმოქმნის სტიქიური სისტემის არსებობისას საერთაშორისო ოპერატორების მიერ შეთავაზებულ ტარიფებში გათვალისწინებული არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა ადგილობრივი (ფიქსირებული) კავშირის ოპერატორებისა და ფიჭური მობილური კავშირის ოპერატორების ქსელების გავლით ზარის წამოწყება და დასრულება. ურთიერთჩართვის ხელშეკრულებების გაფორმების შემდგომ პრინციპული გახდა ამ გარემოების აუცილებელი გათვალისწინებაც, ვინაიდან ფიქსირებული და ფიჭური მობილური სისტემის ოპერატორების ურთიერთჩართვის ტარიფები 3.8-ჯერ განსხვავდება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გარემოში მიმდინარე ლიბერალიზაციის ფონზე ჩასახული ტენდენციების გავლენა საქართველოს საერთაშორისო კავშირით მომსახურების შიდა ბაზრის სეგმენტზე. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გარემოში კონკურენტუნარიანობის ზრდამ გამოიწვია ქვეყნების საერთაშორისო ოპერატორების მიერ ზარის დასრულებისა და საქართველოში სატელეფონო ზარების საცალო ტარიფების ცვლილება, რაზეც აშკარად მეტყველებს ამ მომსახურებაზე საერთაშორისო ელექტრონული ბირჟების კოტირებები. ამ ტენდენციის თანმხვედრი პროცესები განვითარდა საქართველოს შემთხვევაშიც - აშშ-ს მიმართულებით საქართველოს საერთაშორისო ოპერატორების მომსახურების ტარიფები ზემოაღნიშნული №5 დადგენილების მიღების შემდგომ 1.5 ლარიდან 1 ლარამდე შემცირდა, ხოლო რუსეთის მიმართულებით 50 თეთრიდან 40 თეთრამდე. ყველა მიმართულების მიხედვით ტარიფების შემცირებამ საშუალოდ 30 % შეადგინა, რამაც ბუნებრივად გაზარდა საქართველოს საერთაშორისო ტრაფიკის ჯამური მოცულობა და მომხმარებლებისათვის ეკონომიკურად უფრო ხელმისაწვდომი გახადა საერთაშორისო კავშირით მომსახურება. ასევე შემცირდა სხვა ქვეყნებიდან საქართველოში ზარის განხორციელების ტარიფებიც. მაგალითად, აშშ-ს შემთხვევაში ამ წლის აპრილის მონაცემებით საქართველოში დარეკვა ღირდა საშუალოდ 45 ცენტი დეპოზიტური ანგარიშსწორების პირობებში და 85 ცენტი შემდგომი ანგარიშსწორებისას. იგივე ოდენობებმა ივლისის თვეში შეადგინეს - 25 და 35 ცენტი შესაბამისად. რიგი ქვეყნების შემთხვევაში (რუსეთის მაგალითზე) სთქართველოში დარეკვის ტარიფი შედარებით მაღალი იყო საქართველოდან რუსეთში სატელეფონო კავშირით მომსახურების ტარიფთან შედარებით და ამავე დროის პერიოდში უმნიშვნელოდ შეიცვალა.

რებალანსირების პირველი ეტაპის გაანალიზების შემდგომ გამოიკვეთა, რომ ფაქტიურად ყველა საერთაშორისო ოპერატორმა სხვადასხვა მიმართულების მიხედვით დაადგინა მომსახურების ტარიფები კომისიის დადგენილებით განსაზღვრული ქვედა ზღვრული ოდენობით. ამასთან, საერთაშორისო კავშირით მომსახურების ოპერატორების საბაზრო წილების განაწილება (ოპერატორების ჯამურ შემოსავლებში საბაზრო წილების მიხედვით). 2002 წლის ივლისის მდგომარეობით ცხადად ჩანს, რომ ცალკეული ოპერატორების საბაზრო წილები ჭარბობს 20-25%-ს, ხოლო "საქართველოს ტელეკომის", როგორც საქართველოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ოპერატორის, შემთხვევაში კი - 35%-ს (თუმცა ეს სიდიდე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მდგრადი შემცირების მიმართულებით იცვლება). აღნიშნული ფაქტორები ნათლად მეტყველებენ, რომ მიმდინარე პერიოდში საქართველოს საერთაშორისო კავშირით მომსახურების ბაზარზე ჯერ კიდევ არსებობს პირობები, როდესაც კონკურენტული "ბრძოლისას" თითოეული ოპერატორის მიერ მომსახურების ტარიფის ცვლილება საგრძნობ გავლენას ახდენს სხვა ოპერატორების მიერ ტარიფების შეცვლის გადაწყვეტილებაზე და საერთოდ ბაზრის კონკურენტუნარიანობის მდგომარეობაზე.

საქართველოს საერთაშორისო კავშირით მომსახურების ბაზრის ლიბერალიზაციის გაღრმავებისა და კონკურენტუნარიანი გარემოს წინაპირობების შექმნის მიმდინარე პროცესში აუცილებელი გახდა საერთაშორისო კავშირით მომსახურების ტარიფების შემდგომი რებალანსირების ჩატარება. ამ შემთხვევაშიც კომისია დაეყრდნო კავშირგაბმულობის დარგის კანონმდებლობით განსაზღვრულ სატარიფო პოლიტიკის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითად პრინციპებს. ამ მიდგომებიდან გამომდინარე კომისიამ შეიმუშავა №5 დადგენილებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო ამ ცვლილებებისა და დამატებების პროექტის საჯარო განხილვები, რომელთა დროსაც გამოიკვეთა ოპერატორებისა და საკითხით დაინტერესებული პირების შეხედულებები და წინადადებები.

ამრიგად, საერთაშორისო და საქართველოს საერთაშორისო კავშირით მომსახურების სექტორში დღეისათვის არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე კომისიამ ჩათვალა, რომ:

1. მომსახურების აღნიშნული სექტორი ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს კონკურენტუნარიანი საბაზრო გარემოს პირობებს და ზღვრული ტარიფების გაუქმება არ იქნება მიზანშეწონილი და გონივრული;

2. ზღვრული ტარიფების ქვედა დონეების დადგენისას სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ოპერატორების მიერ გაწეული საოპერაციო დანახარჯები, სხვა ქვეყნების საერთაშორისო ოპერატორების მიერ შემოთავაზებული ტარიფების დაზუსტებული ოდენობები და მომხმარებელთა ეკონომიკურად ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობა (ასე მაგალითად, ზღვრული ტარიფების ქვედა ოდენობები რიგ შემთხვევებში შემცირდება საშუალოდ 45%-ით);

3. ზღვრული ტარიფების საშუალო ოდენობების შემცირების ფონზე საერთაშორისო კავშირით მომსახურების ტარიფების დადგენისას ოპერატორებისათვის თანასწორუფლებიანი პირობების ჩამოსაყალიბებლად და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დასაცავად გათვალისწინებული უნდა იყოს დეპოზიტური წინასწარ გადახდით ანგარიშსწორების ფორმები და ასეთ შემთხვევებში ზღვრული ტარიფების ქვედა მნიშვნელობები, არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შემცირდეს 15%-ით;

4. ზღვრული ტარიფების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ფიჭური მობილური და ფიქსირებული ოპერატორების ურთიერთჩართვის ტარიფებს შორის განსხვავების ფაქტორი;

5. ტარიფების შემცირების მდგრადი ტენდენციიდან გამომდინარე, ზედა ზღვრული ტარიფების ოდენობების დადგენა რიგ შემთხვევებში არ არის მიზანშეწონილი.

ზღვრული ტარიფების ოდენობების გაანგარიშებისას საბოლოო შეჯერების შემდგომ, აშშ-ს მიმართულებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების ოპერატორების მომხმარებლებისათვის მომსახურების ტარიფის ქვედა ზღვარი შემცირდა 50%-ით, ხოლო ზედა ზღვარი კი 48%-ით. რუსეთის მიმართულების შემთხვევაში ტარიფის ზედა ზღვარი შემცირდა 11%-ით, ხოლო ქვედა ზღვარის ოდენობა დადგინდა საერთაშორისო ოპერატორების რეალური დანახარჯის შესაბამისად, რომელმაც შეადგინა 50 თეთრი. მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიმართულებით ტარიფების ქვედა ზღვრული ოდენობები შემცირდა თითქმის 13%-ით. საერთაშორისო კავშირით მომსახურების ზღვრული ტარიფების ქვედა დონეები დამატებით 15%-ით შემცირდა დეპოზიტური წინასწარ გადახდით ანგარიშსწორების ფორმების გამოყენებისას და აღნიშნულმა ოდენობებმა შესაბამისად შეადგინეს: აშშ-ს, კანადის და რუსეთის მიმართულებით 42.5 თეთრი წუთზე; ევროპისა და სხვა ქვეყნების მიმართულებით - 59.5 თეთრი წუთზე. ფიჭური მობილური სატელეფონო კავშირით მომსახურების ოპერატორების მომხმარებლებისათვის მომსახურების ტარიფების ზღვრული ოდენობების დადგენისას გათვალისწინებული იყო ამ მიმართულებით ზარების გატარებაზე გასაწევი რეალური დანახარჯები.

საქართველოსა და საერთაშორისო ოპერატორებს შორის ფინანსური ურთიერთობების შემდგომი დარეგულირების მიზნით, წინამდებარე დადგენილების პროექტში გათვალისწინებულია საქართველოში ზარის დასრულებაზე ზღვრული ტარიფების ოდენობების დიფერენცირება ადგილობრივი (ფიქსირებული) კავშირის ოპერატორებისა და ფიჭური მობილური კავშირის ოპერატორების ქსელებში ურთიერთჩართვის ზარის დასრულების ტარიფებს შორის განსხვავების ფაქტორის შესაბამისად. ამასთან ხაზგასასმელია, რომ ამ საკითხის დარეგულირება მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს საერთაშორისო კავშირით მომსახურების ბაზარზე ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ჩამოსაყალიბებლად (როდესაც შეუძლებელი იქნება რიგი ოპერატორების მიერ საერთაშორისო ტრაფიკის ბაზარზე საქართველოში ზარის დასრულების მომსახურებაზე სტიქიური და ეკონომიკურად გაუმართლებელი ტარიფების შეთავაზება 1-3 ცენტის ოდენობით ფიქსირებული ოპერატორების ქსელების მიმართულებით და 9-10 ცენტის ოდენობით ფიჭური მობილური კავშირის ოპერატორების ქსელების მიმართულებით), ასევე მაკროეკონომიკური კუთხითაც. საქართველოს ოპერატორების მიერ ზღვრული ტარიფების ფარგლებში ზარის დასრულების მომსახურებაზე რეალური საფასურის დადგენამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის ამ სექტორის მაკროპარამეტრების გაჯანსაღება, აღურიცხავი ტრაფიკისა და ე.წ. "შავი" ფულადი ნაკადების შემცირება.

წინამდებარე დადგენილების პროექტი შემუშავებულია "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონიდან და "კ/გ ქსელების ურთიერთჩართვის შესახებ" დებულებიდან გამომდინარე და მისი მიღება არ საჭიროებს სხვა ნორმატიულ აქტებში ცვლილება-დამატებების შეტანას. ამასთან, წინამდებარე დადგენილების ამოქმედება არ გამოიწვევს ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტში და არ მოითხოვს ლიცენზიის მფლობელების ან მაძიებლების მხრიდან თანხების გადახდას.

**თბილისი.** შეწყალების სახელმწიფო კომისიამ მოამზადა პროექტი 40-ზე მეტი პატიმრის შეწყალების თაობაზე. მათ სასჯელის ორი მესამედი მოიხადეს. ყველა რეკომენდირებული პატიმარი მამაკაცია.

შეწყალების კომისიის სხდომაზე ყველა იმ პირის შეწყალების თხოვნა განიხილეს, ვინც სასჯელს პირველად იხდიდა. განკარგულების პროექტი შეწყალების თაობაზე პრეზიდენტს დღეს წარედგინება.

სარწმუნო წყარომ გამორიცხა სიაში პეტრე გელბახიანისა და ირაკლი დოკვაძის არსებობა, რომლებიც გასამართლებულები არიან "მხედრიონელთა" ლიდერზე ჯაბა იოსელიანზე განხორციელებული ტერაქტისათვის. კანცელარიაში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე პრეზიდენტი არ იხილავს იმათი შეწყალების საკითხს, ვისაც ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციები "სინდისის პატიმრებად" მიიჩნევენ. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**მოსკოვი.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს ვლადიმირ ჟირინოვსკის აუცილებლად მიაჩნია განსაკუთრებული ზომების მიღება. ეს ზომები "ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს საერთაშორისო ტერორისტებისათვის მხარდაჭერა".

ჟირინოვსკის განცხადების თანახმად, ის რუსეთს სთავაზობს, შემოიღოს მსოფლიო ფასები იმ ენერგორესურსებზე, რომლებსაც საქართველო რუსეთიდან იღებს. მას მიაჩნია, რომ აუცილებელია, გამკაცრდეს სავიზო რეჟიმი, ასევე უმოკლეს ვადებში მოხდეს "რუსეთში მცხოვრები იმ ქართველების სამშობლოში დაბრუნება, რომლებსაც ან სულ არ გააჩნიათ, ან ვადაგადაცილებული ვიზები აქვთ." (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ევროს კურსი თანდათანობით იზრდება, რის შედეგადაც ევროს უფრო ხშირად დოლარის მომძლავრებულ კონკურენტად ასახელებენ. 19 ივლისის მონაცემებით, ევროს კურსი 1,0208 დოლარს გაუტოლდა, მაშინ, როცა 2 იანვარს 1 ევრო 0,90 დოლარს უდრიდა, თებერვალში კი 0,86 დოლარამდე გაიაფდა.

საქართველოში ევროს გაძვირებას სავალუტო ბაზრის მონაწილეები მშვიდად შეხვდნენ. ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში მცირე მოცულობის თანხები ხურდავდება. ექსპერტთა შეფასებით, ევროს წილი საქართველოს სავალუტო ბაზარზე 3 პროცენტს არ აღემატება. მთელი საგარეო ვაჭრობა ამერიკული ვალუტით წარმოებს.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ქართველი იმპორტიორები საკმაოდ კონსერვატულები არიან, ისინი გარიგებებს, ისევე როგორც მსოფლიოს უდიდესი ნაწილი, აშშ-ს დოლარებით აწარმოებენ. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში მოქმედი აფხაზეთის სტრუქტურების გაუქმებით ასლან აბაშიძე სოხუმისკენ მიმავალ გზას იკაფავს. ასლან აბაშიძის ინიციატივას, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმების შესახებ, სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი შამბა დადებითად აფასებს და ლეგიტიმური ხელისუფლების თბილისში ფუნქციონირებას ბლეფს, აფიორას და სერიოზული პოლიტიკისაგან შორს მდგომ მოვლენას" უწოდებს.

შამბას შეფასებით, თბილისში მოქმედი აფხაზეთის ბუტაფორული სტრუქტურები პოლიტიკური ავანტიურისტების თავშესაფარია", რომელიც ხელს უშლის აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებას.

შამბამ კვლავ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ასლან აბაშიძეს კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე სოხუმის ხელისუფლების არც ერთ დონეზე კონსულტაციები ჯერ არ ჰქონია. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის ნიკა ჯანჯღავას წინააღმდეგ, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

ჯანჯღავას საქმეს სამხედრო პროკურატურა გამოიძიებს და თუ მასალებში სისხლის სამართლის ნიშნები აღმოჩნდება, მაშინ ჯანჯღავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. ნიკა ჯანჯღავას საქმეს პერსონალურად სამანდატო კომისია განიხილავს, რომლის ხელმძღვანელი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე იქნება.

ჯანჯღვა ამ დროისთვის კადრების დაქვემდებარებაშია, კადრების სამმართველოში კი დღემდე არ უნახავთ ჯანჯღავას მიერ დაწერილი პატაკი. ყველაზე დიდი სასჯელი, რაც სახმელეთო ჯარების მოვალეობის ყოფილ შემსრულებელს ელის, თანამდებობრივი და სამხედრო წოდების დაქვეითებაა. დანარჩენ 102 ოფიცერს კი, სავარაუდოდ, ადმინისტრაციული წესით დასჯიან. (კავკასპრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის უზრუნველსაყოფად სამინისტროს ხელმძღვანელობამ 12 მილიონი ლარი მოითხოვა.

პირველ ეტაპზე სარადარო სისტემა უნდა შეიძინონ, რომელიც, სავარაუდორდ, 4-5 მილიონი ლარი დაჯდება. უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურაც, რადგან მხოლოდ მონაცემთა ბაზის არსებობა საკმარისი არ არის. ქართული მხარე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის სახმელეთო დანადგარების შეძენას უკრაინაში აპირებს.

გასულ წელს ოფიციალურმა თბილისმა მიმართა კიევს, დახმარებოდა საქართველოს დედაქალაქის ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნაში. აღსანიშნავია, რომ საიმედოობის გარდა, უკრაინული შეკვეთა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ანალოგიური სისტემა დასავლეთში. აქვე უნდა ითქვას, რომ უკრაინა უკვე მონაწილეობს სამხრეთ აფრიკის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ტენდერში.

საქართველომ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შექმნის აუცილებლობაზე საუბარი მანამდე დაიწყო, ვიდრე რუსეთი საქართველოს ტერიტორიის საჰაერო სივრცის დარღვევასა და დაბომბვას სისტემატურად დაიწყებდა. (კავკას-პრესი)




გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლექავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაб ჭაოშვილი.

# "დემოკრატებს" ჯორბენაძეზე თავდასხმა "ჩაუვარდათ"

პირველი გვერდიდან

ბატონი ვანო კიდევ უფრო შორსაც წავიდა და "თბილგაზის" რეაბილიტაციის იმ პროექტის ავტორმა, რომელიც საპრივატიზაციო ბიზნეს-გეგმების ალტერნატივად აღიქმებოდა, გუშინ განაცხადა, რომ მზადაა, "იტერასთან" ერთად იმუშაოს, თუ "ასეთი სერიოზული ინვესტორი" "თბილგაზის" შესყიდვაზე თანხმობას მართლაც განაცხადებს.

ზაზაშვილის პოზიციამ მეტად გაალიზიანა "დემოკრატები", რომლებმაც პროექტის ავტორს სთხოვეს, აეხსნა, რატომ საუბრობდა საკითხის გაჭიანურებაზე ადრე და რამ შეაცვლევინა პოზიცია დღეს.

ამ კითხვაზე პასუხის სახით "საქტრანსგაზმრეწვის" თავმჯდომარემ სხდომის წინა დღეს, ორშაბათს, საღამოს ხუთ საათზე მიღებული სახელმწიფო მინისტრის რეზოლუცია მოიშველია და იმედი გამოთქვა, რომ ამის შემდეგ "მოუსმენენ და განიხილავენ".

რადგან ვანო ზაზაშვილის პასუხი არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული, მისი დახმარება და სახელმწიფო მინისტრის დაცვა თავზე აიღო სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, გია ნიკოლაიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ზაზაშვილის წერილი, "თბილგაზის" რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით, მხოლოდ ორიოდე კვირის წინ შევიდა კანცელარიაში.

როცა ამის საპასუხოდ დავით ხუციშვილმა განაცხადა, რომ მას შეუძლია, წარმოადგინოს 11 იანვრით დათარიღებული წერილი ავთანდილ ჯორბენაძის სახელზე, ნიკოლაიშვილმა სთხოვა ზაზაშვილს, დაედასტურებინა, რომ იგი ჯორბენაძეს შეხვდა.

ორმხრივი დარტყმის ქვეშ მყოფი პროექტის ავტორი ისე დაიბნა, დაპირისპირებული მხარეები კი ისე გაცხარდნენ,



ვანო ზაზაშვილი და გია ბარამიძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რომ მშვიდობის მტრედის ფუნქცია ისევ გიორგი ბარამიძის საკისრებელი გახდა.

მოკლედ, გუშინ ფრაქცია "დემოკრატის" სხდომაზე ვერ მოხერხდა "საქტრანსგაზმრეწვის" მიერ შემუშავებული "თბილგაზის" რეაბილიტაციის პროექტის არსობრივი განხილვა. თავად პროექტში, რომელიც "დემოკრატებს" სამიოდე კვირის წინ მიაწოდეს, "თბილგაზის" რეაბილიტაციის ათწლიანი გეგმაა გაწერილი. პროექტის მიხედვით, "თბილგაზის" რეაბილიტაციას საბოლოო ჯამში 152,5 მილიონი ლარი სჭირდება. აქედან 135 მილიონი - გაზის მეურნეობის რეაბილიტაციისთვის, 17,5 მილიონი კი - პირველ ორ წელიწადში გაზის დანაკარგების ღირებულების დაფარვისათვის. აქვე აღნიშნულია, რომ გეგმის აღსასრულებლად პირველ ორ წელიწადში 27 მილიონი ლარის ინვესტიციაა საჭირო, შემდგომ წლებში კი რეაბილიტაცია რეინვესტირების, ანუ თავად "თბილგაზის" საკუთარი მოგების ხარჯზე უნდა განხორციელდეს.

# სასამართლომ ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა - ასეთია პარტიათა ვერდიქტი

პირველი გვერდიდან

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ ცესკოს ეს შანსი არ დაუტოვა. ნამდვილად ძნელი სათქმელია, როდის შეძლებს იგი უზენაესი სასამართლოს დირექტივის შესრულებას, რადგან სარდაფიდან ამოტანილი ბიულეტენების ნახევარზე მეტი კანონის მოთხოვნების დარღვევითაა შეფუთული და თითქმის შეუძლებელია მათი ბათილობისა თუ ვარგისიანობის დადგენა.

ამასობაში პრობლემა, რომელიც დედაქალაქს რეალურად დაუდგა, საკმაოდ მძიმეა. ქალაქს საკრებულო არ ჰყავს. ეს კი მორიგი პოლიტიკური განცხადებების საფუძველი ხდება. რამდენიმე პარტია აცხადებს, რომ ამ პირობებში ქალაქის მერია და, მთლიანად, ხელისუფლება, ადვილად შეძლებს მათთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღებას და თუნდაც იმ სასიცოცხლო ობიექტების პრივატიზებას, როგორიც არის, ვთქვათ, "თბილგაზი".

თუმცა, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, "სოციალისტი" **ზაქარია ქუცნაშვილი** აცხადებს, რომ, შექმნილი ვაკუუმის მიუხედავად, **"ჩვენი საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც საკრებულოს ფუნქციების შეთავსება სხვა ვინმეს, ამ შემთხვევაში მერს, შეუძლია. გამოსავალი მარტივია – ცესკომ პატიოსნად უნდა იმუშაოს. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი კანონმდებლობით, პრივატიზების პროცესთან საკრებულოს არანაირი შეხება არ აქვს. უბრალოდ, საკრებულოს შეუძლია, ატეხოს ხმაური. შექმნილ ვითარებაში ეს პარლამენტმაც შეიძლება გააკეთოს."**

ამ მოსაზრებას "მრეწველი" **ვახტანგ ხმალაძეც** ეთანხმება:

**"ვაკუუმს ვერაფერს ვუზამთ. ამბობენ, რომ ეს ვაკუუმი სპეციალურად შეიქმნა, რადგან ისეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული, რომელიც ცუდი იქნება ქალაქისთვის. მაგრამ, მოდით, ისიც ვთქვათ, რომ საკრებულოს მისაღებ გადაწყვეტილებას სხვა ვერავინ მიიღებს. არსებობს ერთადერთი გზა – მერიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე კონტროლის დაწესება. არსებობს რიგი გადაწყვეტლებებისა, რომლის გუქმების უფლება მხოლოდ საკრებულოს აქვს. მას სხვა ვერ გააუქმებს".**

რაც შეეხება სხვა პარტიებს. "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის, **ლევან ბერძენიშვილის** მტკიცებით, **"უზენაესმა სასამართლომ დედაქალქი, მინიმუმ, ერთი წლით დატოვა საკრებულოს გარეშე. რაც შეეხება თავად მოსამართლეებს, მათ საკმაოდ ცინიკურად შასრულეს პრეზიდენტის ბრძანება".**

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი **შალვა ნათელაშვილი** კი პოლიტიკური დაკვეთის შესრულებაში თავად "ნაციონალურ მოძრაობას" ადანაშაულებს. მისი თქმით, **"ხელისუფლებამ და სააკაშვილმა ერთობლივად მოამზადეს შეთქმულება და წარმატებით განახორციელეს კიდეც. შევარდნაძის კანცელარიას ერთი სული ჰქონდა, როგორმე არჩევნებში პირველ ან მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ ძალას შეეტანა სარჩელი სასამართლოში. ჩვენ ეს არ გავაკეთეთ, სამაგიეროდ, ეს სააკაშვილმა გააკეთა"**, - ამბობს იგი.

"აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერის, **ვალერი გელბახიანის** თქმით, **"თბილისის საკრებულო არ შედგა. ვინ როგორ გამოიყენებს ამ ფაქტს, ეს სხვა საქმეა. თუ იმ პროგნოზს გავყვებით, რომლის თანახმად გარკვეული პოლიტიკური ძალები მოგების შემთხვევაშიც გააპროტესტებდნენ და ჩაშლიდნენ ამ არჩევნებს, მაშინ გამოდის, რომ ვარაუდი სწორი იყო და საკრებულოს კოზირი ბოლომდე თამაშდება. მთავარია, სხვა პოლიტიკური ძალები როგორ შეაფასებენ ამ პროცესებს".**

"ახალი მემარჯვენე" **დავით საგანელიძე:**

**"მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება დაძაბავს ისედაც დაძაბულ საერთო ვითარებას. რაც შეეხება შედეგების ოქმის გაუქმებას და ახლის დამტკიცებას, ეს რთული სკითხია. პირველ რიგში, რა აზრი აქვს გადათვლას, თუ რაიმე არ შეიცვლება. მეორე - თუ გადათვლის მიზანი რაღაცის შეცვლაა, ეს უფრო ცუდია. რადგან, ჩემი აზრით, გადათვლას და გადამოწმებას ის აზრი უნდა ჰქონოდა, რომ გვენახა, როგორ ჩატარდა არჩევნები, რამდენად რეალური იყო მისი შედეგები. მე მაინც მგონია, რომ, თუ გადათვლა სამართლიანად მოხდა, საერთო სურათი ძალიან შეიცვლება. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალი არეულობის ერთ-ერთი საბაბი სწორედ საკრებულო გახდეს, რადგან აგორებული სკანდალი რაში გადაიზრდება, კაცმა არ იცის".**

"გაერთიანებული დემოკრატი" **ხათუნა ხოფერია:**

**"ჩემთვის სასამართლოს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. წინასწარვე ვიცოდით, რომ სასამართლო კოლეგია ხელისუფლების დაკვეთას შეასრულებდა და ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა. შედეგად კი, სახელმწიფო მინისტრს, ვაკუუმის პირობებში, თბილისში თავისუფლად შეეძლება ყველაფრის გაკეთება."**

# სოფლის გამგებლის აფიორა კრახით დამთავრდა

პირველი გვერდიდან

გუმბათელებმა სოფლის კრება მოიწვიეს, რომელსაც, მათი თქმით, მოსახლეობის 90 პროცენტი დაესწრო. კრებაზე მისვლაზე უარი განაცხადეს გამგებელმა და საკრებულოს წევრებმა. გუმბათელი თამაზ ჭელიძე აცხადებს, რომ მათ გამგებელს შესთავაზეს, სიიდან ამოეყარათ სოფლისათვის უცხო ხალხი და მიწის კომპენსაცია ყველა ოჯახს თანაბრად გაეყო. გამგებელმა საკუთარ ხალხთან დიალოგი არ ისურვა, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა.

სოფლის გამგებელი გურამ წულუკიძე ვერ უარყოფს იმას, რომ ნაკვეთების მესაკუთრეებად მან საკუთარი ოჯახის წევრები და ახლობლები გააფორმა. მიუხედავად ამისა, თავს დამნაშავედ მაინც არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მიწა საეზოვე ნაკვეთებად მანამდე (ერთი თვით ადრე) გასცა, ვიდრე მილსადენის 44-მეტრიანი ზოლი შეირჩეოდა. აღნიშნული ნაკვეთების მილსადენის დერეფანში მოხვედრას გამგებელი შემთხვევითობას მიაწერს. **"თანამდებობას არ დავტოვებ, სანამ კომისია ჩემს ბრალეულობას არ დაადგენს,"** - განაცხადა მან.

საკრებულოს წევრთა მცდელობას, გუბერნატორის წინაშე თავი ემართლებინათ, ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა. **"გიჟები გვიძახეთ, კრებაზე არ მოვიდნენ, მაგათთან რა საქმე გვაქვსო. ხუთი დღეა ღია ცის ქვეშ ვყრივართ და ახლა რა უნდა გვითხრათ?!"** - ამ ბრალდების საპასუხოდ საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა თანასოფლელ ქალს ხელი გაარტყა.

წალკის რაიონის გამგებელი ელდარ ხვისტანი მომხდარს ასე აფასებს: **"ეს მიწა არავისი არ არის, ის სახელმწიფოს ეკუთვნის. როგორც ჩანს, მავანთა დაინტერესების გამო, მიწა მათ ხელში აღმოჩნდა, ვისაც კანონით არ ეკუთვნოდა."**

ლევან მამალაძემ სოფლისა და რაიონის გამგებლებს უსაყვედურა, როგორ დაუშვით, რომ ამ ამბავმა რაიონიდან გამოჟონა, რაიონს იქეთ ეს პრობლემა არ უნდა გადიოდესო; გუმბათელებს კი ასე მიმართა:

**"მიწის მესაკუთრის უფლება არავისზე არ იქნება გაცემული. კომპენსაცია სოფლის ანგარიშზე ჩაირიცხება. შეიქმნება კომისია, რომელიც მომხდარს შეისწავლის. რაც შეეხება გამგებლის გადაყენებას, ის თქვენ აირჩიეთ და ახლა თქვენივე შეცდომის გამოსწორებას ჩვენგან ითხოვთ? საქართველოს კანონმდებლობაში უკან გამოწვევის პროცედურა არ არსებობს, თუ თვითონ გამგებელმა არ დაწერა განცხადება წასვლის თაობაზე."** მამალაძემ გუმბათში საკუთარ წარმომადგენლად სოფლის ნდობით აღჭურვილი პირი დანიშნა.

გუმბათელები გუბერნატორთან შეხვედრის შემდეგ უკმაყოფილებას ვერ ფარავდნენ და სახლში დაბრუნებაზე უარს აცხადებდნენ. მათ რუსთავი მხოლოდ მაშინ დატოვეს, როცა შეიტყვეს, რომ სოფლის გამგებელმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა.

ეკონომიკა

# ქაოსი „ელექტროკავშირის" გარშემო

პირველი გვერდიდან

დღეს საერთაშორისო ოპერატორი კომპანია "ტელეკომი", სადაც სახელმწიფო წილის 51 პროცენტს ფლობს, გაკოტრების პირასაა, "ელექტროკავშირი" კი, შესაძლოა, სამი წლით მართვის უფლებით უცხოურ ოფშორულ კომპანიას გადაეცეს.

"ელექტროკავშირისა" და "ტელეკომის" ფინანსურ კეთილდღეობას წინ რამდენიმე სერიოზული "ბარიერი" ეღობება. ჯერ ერთი, ესაა ცუდი მენეჯმენტი, რომლის წყალობითაც ამ მეტად მომგებიანი დარგის საწარმოებს დიდძალი ვალები უგროვდებათ. მეორეც, ესაა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია "სკოტკო", რომელიც საქართველოს ამ ორ კომპანიასა და საერთაშორისო ოპერატორებს შორისაა ჩამდგარი და ქართულ საწარმოებს საერთაშორისო ტრაფიკის მომსახურებისთვის მიღებულ შემოსავალს, არც თუ თანაბრად უყოფს, უფრო სწორად კი, შემოსავლის უდიდესი ნაწილი მიაქვს. სამთავრობო კულუარებში ღიად საუბრობენ, რომ "სკოტკოს", ამ "პარაზიტი" კომპანიის უკან ცნობილი რუსი ოლიგარქის, ბორის ბერეზოვსკის ჯგუფი დგას. სხვათა შორის, "სკოტკო" "საქართველოს ტელეკომსა" და "როსტელეკომს" შორის შუამავლად სწორედ მაშინ ჩადგა, როდესაც ბერეზოვსკის რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, შემდეგ კი დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის პოსტი ეკავა. ექსპერტთა შეფასებით, "სკოტკოს" მომსახურებით სარგებლობის არც ტექნიკური და არც ფინანსური საჭიროება არ არსებობს – ის, უბრალოდ, "ფულის საკეთებლად" არის ჩასმული ამ მეტად მომგებიან სქემაში. მოგება კი "სკოტკომ" სოლიდური ნახა: მისი "საქართველოს ტელეკომთან" "თანამშრომლობის" პერიოდში, საქართველოს საერთაშორისო ტრაფიკის, დაახლოებით, 80 პროცენტი სწორედ "ტელეკომზე" გადიოდა და, შესაბამისად, "სკოტკოს" წლიური მოგება რამდენიმე მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა. "ტელეკომის" ერთ-ერთი მსხვილი მეწილის, საქართველოში ამერიკული კომპანია "მეტრომედიას" წარმომადგენლის, ზურაბ ჩიგოგიძის განცხადებით, დღეს "ტელეკომს" "სკოტკოსი" 600 ათასი დოლარი მართებს. სულ კი "ტელეკომმა" "სკოტკოს" წინა წლების დავალიანების ანგარიშში სამ მილიონ დოლარზე მეტი "ჩაუთვალა".

"ჩვენ ძალზე უკმაყოფილონი ვართ "ტელეკომის" ქართული მენეჯმენტით. მათ კომპანია გაკოტრების პირას მიიყვანეს. "სკოტკოსთან" "ტელეკომის" თანამშრომლობაც მათი დამსახურებაა", - აღნიშნავს ჩიგოგიძე. მისი თქმით, "ელექტროკავშირისადმი" "სკოტკოს" ინტერესი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ქართულმა კომპანიამ, 2002 წლის 1 ივნისიდან, საერთაშორისო ოპერატორის ფუნქციის შესრულება დაიწყო. ამრიგად, კარგად აპრობირებულ სქემაში – "როსტელეკომი"-"სკოტკო"-"საქართველოს ტელეკომი", ამ უკანასკნელის ადგილი, ჩიგოგიძის თქმით, შესაძლოა, "ელექტროკავშირმა" დაიკავოს. შედეგად, ადვილი გამოსაცნობია, როგორ დაამთავრებს ფინანსურ წელს "ელექტროკავშირი", რომელსაც 2002 წლის პირველ ექვს თვეში 2,6 მილიონი ლარის მოგება ჰქონდა.

**"სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ მის მფლობელობაში არსებული საწარმოების პრივატიზება არ მოხდეს. მას ამჟამად არსებული სტატუს კვოს შენარჩუნება აძლევს ხელს. სახელმწიფოს ხელს აძლევს, რომ იყოს ქაოსი და საწარმოებს ვალები დაუგროვდეს, რითაც მათი ღირებულება დაეცემა",** - აღნიშნავს "მეტრომედიას" წარმომადგენელი.

2000 წელს სახელმწიფომ "ელექტროკავშირთან" მიმართებაში სტრატეგია შეცვალა, პრივატიზების პროცესი ჩაშალა და, თუ ივნისში "ელექტროკავშირს", "ტელენორსა" და "სელფორდს" შორის ხელმოწერილი კონტრაქტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ საწარმოს რომელიმე უცხოური კომპანიისთვის მართვის უფლებით გადაცემას უჭერს მხარს. საქართველოს ქონების მართვისა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროების წარმომადგენლები ერთხმად მიესალმნენ "ელექტროკავშირით" მსხვილი ნორვეგიული კომპანიის, "ტელენორის" დაინტერესებას. თანაც, "ტელენორთან" ქართველ ჩინოვნიკებს რამდენიმე თვის კარგი ნაცნობობა აკავშირებთ. მაისში საქართველოს წარმომადგენლობითი სამთავრობო დელეგაცია ნორვეგიაში "ტელენორის" მიწვევით იმყოფებოდა. როგორც კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე აცხადებს, გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულება მეტად საეჭვოდ გამოიყურება, მით უმეტეს, "ტელენორის" იმ პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც ნორვეგიულმა მხარემ ქართულ დელეგაციას ჯერ კიდევ კონტრაქტის დადებამდე, ნორვეგიაში ვიზიტისას გააცნო. აბაშიძის თქმით, ნორვეგიაში "ტელენორი" ცალსახად აცხადებდა, რომ "ელექტროკავშირთან" მისი თანამშრომლობის დაწყების შემთხვევაში, მთელი პროცესი გამჭვირვალედ და საჯაროდ წარიმართებოდა. არადა, საიდუმლოების ხარისხი ამ გარიგების გარშემო საკმაოდ მაღალია.

ექსპერტთა აზრით, ასეთი პოლიტიკის წყალობით, "ელექტროკავშირი" აუცილებლად გაკოტრდება, ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი სახელმწიფო საწარმო კი იოლად გადავა ისეთი გაურკვეველი წარმომავლობის კომპანიის ხელში, როგორიც "სელფორდია".

"ელექტროკავშირთან" წარმოებული მოლაპარაკების ბუნდოვანებამ ზურაბ ჩიგოგიძეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისიც კი აფიქრებინა, რომ ქართული კომპანიის საქმიან პარტნიორს, "ტელენორ მენეჯმენტ პარტნერს," შესაძლოა, არაფერი ჰქონდეს საერთო ნორვეგიულ სატელეკომუნიკაციო გიგანტ "ტელენორთან" და ისეთივე და იმავე "პატრონის" ოფშორული კომპანია იყოს, როგორიც მისი პარტნიორი "სელფორდია". ამის დასტურად ჩიგოგიძეს "ტელენორის" წარმომადგენლებთან მისი საუბარი მოჰყავს, რომლებმაც განაცხადეს, რომ საქართველოში ნორვეგიულ სატელეკომუნიკაციო გიგანტს არანაირი ინტერესი არ გააჩნია. "მეტრომედიის" წარმომადგენელს ამ აზრს "ტელენორის" საქმიანობის პროფილიც უმტკიცებს – ცნობილია, რომ ნორვეგიული კომპანიის ინტერესის უმთავრესი სფერო მობილური კავშირგაბმულობის ქსელებია. **"ტელენორი" ფიქსირებული ქსელებით არ ინტერესდება. თანაც, საქართველო მისი ინტერესების სფეროში, ამ ეტაპზე მაინც, არ შედის – მისი ყურადღება სკანდინავიისა და ევროპის ქვეყნებისკენაა მიმართული",** - აცხადებს ჩიგოგიძე. გარდა ამისა, მისი თქმით, "ტელენორის" პრაქტიკიდან გამომდინარე, იგი არც საწარმოთა მენეჯმენტით აღებით ინტერესდება. მის მიზანს, როგორც წესი, მათი ყიდვა წარმოადგენს, რის საშუალებასაც სოლიდური ფინანსური სახსრები აძლევს.

კარგად გათვლილი, წინასწარ შემუშავებული გეგმის მოულოდნელად არევამ ქაოსი გამოიწვია საქართველოს სამთავრობო წრეებშიც. გარდა იმისა, რომ "სელფორდის" სახელის ხსენება აღარც ერთ მინისტრს აღარ სურს, ცნობილი გასაიდუმლოებული კოტრაქტის შესასწავლად, შესაძლოა, სპეციალური სამთავრობო კომისიაც შეიქმნას. ერთი კვირით გადაიდო 9 აგვისტოსთვის დაგეგმილი "ელექტროკავშირის" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაც, რომელზეც კომპანიის ახალი გენერალური დირექტორი უნდა დაენიშნათ...

# საგადასახადო დეპარტამენტი „თეთრი" ფქვილით ცხობას ითხოვს

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, იგი იმედოვნებს, რომ პურის ბიზნესი გაცილებით მეტად გათეთრდება. საქმე ის არის, რომ, ამოქმედებული შესწორების მიხედვით, ყველა მეწარმეს, რომელიც საგადასახადოს ფქვილის ლეგალურად შეძენის ანგარიშფაქტურას, ანუ მისი ფქვილის არაკონტრაბანდულობის დამადასტურებელ საბუთს წარუდგენს, საშუალება ეძლევა, დაწესებული განაკვეთები, შესაბამისად, 90 და 200 ლარამდე შეამციროს.

პურის წარმოებაში ფიქსირებული გადასახადის დაწესება, პირველ რიგში, წვრილმა მეწარმეებმა გააპროტესტეს, რომელთა უმეტესობა (90 პროცენტზე მეტი) არალეგალურ საქმიანობას ეწევა და ვერც ჰიგიენურ ნორმებს აკმაყოფილებს. სამაგიეროდ, დიდი საცხობები ამ ცვლილებით დიდად იხეირებენ და კონკურენტებს მოიშორებენ თავიდან. ბაზრიდან იმ წვრილი საცხობების გაქრობაში, რომლებიც არც ბიუჯეტთან არიან პირნათელნი და ვერც სხვა ელემენტარულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, ზაუტაშვილი დიდ პრობლემას ვერ ხედავს. მისი აზრით, ამ ცვლილებას ბაზარი საკმაოდ უმტკივნეულოდ "გადახარშავს," მით უმეტეს, რომ ამის გამო პურზე ფასების ზრდა მოსალოდნელი არ არის.

საგადასახადო დეპარტამენტი მნიშვნელოვნად გააქტიურებას აპირებს, საწარმოებიდან ნარჩენი დავალიანებების ამოღების მიზნით, მით უმეტეს, რომ ამისთვის მას კანონი ახალ, მძლავრ ბერკეტს აძლევს. ახლა დეპარტამენტს უფლება ეძლევა, იმ საწარმოს ქონება, რომელსაც აღიარებული აქვს დავალიანების არსებობა სახელმწიფოსადმი, სასამართლოს გარეშე დააყადაღოს, დააგირაოს ან, სულაც, აუქციონზე გაყიდოს და ბიუჯეტს კუთვნილი თანხები ამ გზით დაუბრუნოს. ზაუტაშვილის ინფორმაციით, დავალიანების მქონე საწარმოთა რაოდენობა - 33 ათასს, ხოლო მათი საერთო დავალიანების მოცულობა 1.1 მილიარდ ლარს შეადგენს, თუმცა, ამ ვალის დაახლოებით ნახევრის დაბრუნება უიმედოდ მიიჩნევა. სამაგიეროდ, დარჩენილი ნახევარი საქართველოს მუდმივად "გაჭირვებული" ბიუჯეტისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა იმისთვის, რომ დეპარტამენტი მათი ამოღებისთვის კარგად გაისარჯოს. იმის გამო, რომ კანონი დეპარტამენტს ავალდებულებს, ქონების დაყადაღების გადაწყვეტილების მიღების შესახებ საწარმო, მინიმუმ, 30 დღით ადრე გააფრთხილოს, ხელშესახები შედეგის მიღწევას ზაუტაშვილი ოქტომბრისთვის ელის.

ახლა მთავარია, რომ საგადასახადო დეპარტამენტისა და ხელისუფლების ინტერესები არასასურველად არ გადაიკვეთოს. ცნობილია, რომ, პრეზიდენტის განკარგულებით, საწარმოთა დავალიანების რესტრუქტურიზაციისთვის სპეციალური კანონი მზადდება, რომელმაც საგადასახადო დეპარტამენტს, შესაძლოა, ბევრი "გემრიელი ლუკმა" გააგდებინოს ხელიდან.

# რუსმა სამხედროებმა „აირზენას" გაკოტრება განიზრახეს

მაია ურუშაძე

*"აირზენას" თვითმფრინავების მიღებაზე მოსკოვი კვლავ უარს აცხადებს. ეს უარი, როსტოვისა და მინერალური წყლების ზონაში სამხედრო სწავლებების დაწყებას უკავშირდება, რის გამოც, თითქოს, რუსეთის სამოქალაქო ავიაციის ფრენის მართვის ცენტრმა თბილისსა და ერევანს, უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, დროებითი მარშრუტის წარდგენა 31 ივლისს სთხოვა. როგორც ერევნის აეროპორტის ცენტრალური სადისპეტჩეროდან გვაცნობეს, არავითარი მსგავსი შინაარსის გაფრთხილება (ე.წ. "ნოტამი") რუსებისაგან სომხებს არ მიუღიათ.* ***"Какой нотам? Никаких ограничений мы не получали! Летаем, как обычно,"*** *– განაცხადა ერევნის აეროპორტის დისპეტჩერმა. 2 აგვისტოს ერევნის თვითმფრინავებმა შეუფერხებლად გადაუფრინეს კავკასიონს. ქართული ავიაკომპანიებისათვის კი რუსეთის ზონა დახურულად გამოცხადდა.*

რაც შეეხება თავად რუსულ ავიაკომპანიებს, ამ ახალი სამხედრო შეზღუდვების შესახებ რუსეთის სამოქალაქო ავიაციის დისპეტჩერებმა პირველად "24 საათის" კორესპონდენტისგან შეიტყვეს, რუსეთის სამხედრო ავიაციის სადისპეტჩერომ კი პასუხისგან თავი შეიკავა.

ცნობისათვის, რუს სამხედროთა მიერ, ორი აგვისტოს შემდეგ, დილის თერთმეტი საათიდან ღამის ორ საათამდე, გადაკეტილია მთელი კავკასიის ქედის საჰაერო ზონა – შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ამ ზონაში ფრენა მხოლოდ რუს სამხედროთა საგანგებო ნებართვითაა დაშვებული. ამ ნებართვის მიღებას, რაც, ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ტექნიკური ხასიათის ავიაფორმალობაა, ახერხებენ ყველა ქვეყნის ავიაკომპანიები, საქართველოს გარდა. ეს კი ნიშნავს, რომ რუსი სამხედროები, თბილისის დროით დილის რვა საათიდან ღამის ორ საათამდე, ქართული სამოქალაქო თვითმფრინავის "შემთხვევით" ჩამოგდებაზე პასუხისმგებლობას იხსნიან. ბუნებრივია, ამ ვითარებაში "აირზენას" რეისები მთელი 15-საათიანი დაგვიანებითა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალით სრულდება. **"მგზავრები საჰაერო სივრცის გახსნას მთელი დღის განმავლობაში ელიან, "აირზენას" სახელი კი საერთაშორისო მასშტაბით ილახება,"** – აცხადებს "აირზენას" დირექტორი გივი ნუცუბიძე.

საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციის (ICAO) წესდების მიხედვით, **"ცნობა საჰაერო სივრცეში დროებითი აკრძალვების შემოღების შესახებ, მინიმუმ, 7 დღით ადრე უნდა გაიგზავნოს".** რადიოგრამაში კი, რომელიც "აირზენამ" 31 ივლისს მიიღო, ნათქვამია, რომ **"სარაკეტო ტექნიკის გამოცდის გამო, შესაძლებელია, საერთაშორისო საჰაერო სივრცით სარგებლობაზე შეზღუდვების შემოღება. ვინაიდან რაკეტების გაშვების დრო უცნობია, ამიტომ თვითმფრინავების გაშვების საკითხი ფლაიტ-გეგმის მიღების შემდეგ უნდა გადაწყდეს".** ავიატორები ფლაიტ-გეგმას რეისამდე მხოლოდ ნახევარი საათით ადრე ადგენენ. რუსეთმა "აირზენას" მხრიდან ვნუკოვოს მიმართულებით გაგზავნილი არც ერთი ფლაიტ-გეგმა არ დაუშვა. ეს მაშინ, როდესაც "დახურულ ზონაში" სხვადასხვა ქვეყნების თვითმფრინავები "აკრძალულ დროსაც" თავისუფლად მოძრაობენ.

"აირზენას" გენერალური დირექტორი თამაზ გაიაშვილი რუს სამხედროთა მიერ საქართველოს ავიაკომპანიისთვის ახალი საგანგებო სანქციების შემოღებას პოლიტიკურ თამაშად მიიჩნევს. თუმცა, ამ "თამაშს," შეიძლება, პატარა ავიაკომპანიისთვის ერთობ სავალალო შედეგები მოჰყვეს. როგორც "აირზენას" გენერალური დირექტორი აცხადებს, **"თუ რუსების თვითნებობა გაგრძელდა, ქართული ავიაკომპანია ერთ თვეში გაკოტრდება".** მისი განცხადებით, რუსეთის ავიაცია უკვე რამდენიმე წელია, "აირზენასთან" ეკონომიკურ ომს აწარმოებს. თავისი უფლებების დასაცავად, ქართული მხარე ძველი, კაბალური საავიაციო ხელშეკრულების გადასინჯვას ითხოვს, რაც სამთავრობო დონეზე უნდა განხორციელდეს, რუსული მხარე კი ამ მოთხოვნას იგნორირებას უკეთებს.

**"რუსეთს აწყობს ქართული რეისების შეზღუდვა, რადგან მგზავრები "აეროფლოტის" "ტუ-154"-ებს "აირზენას" კომფორტული და უსაფრთხო "ბოინგით" მგზავრობას ამჯობინებენ. ამიტომ, თუ "აირზენა" გაკოტრდება, "აეროფლოტი" უფრო იოლად შეძლებს ქართული ავიაბაზრის დაპყრობას. დღეს რუსეთის საავიაციო ხელისუფლებამ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა, რადგან ახლა საქართველოს მიმართ მსგავს ქმედებებზე რუსეთი რეაგირებას არ ახდენს. "აირზენას" დღევანდელი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის საავიაციო ხელისუფლებასა და საქართველოს მთავრობას შორის მოსაგვარებელი საქმეა,"** - აცხადებს "აირზენას" გენერალური დირექტორი თამაზ გაიაშვილი და რუს სამხედროთა წინააღმდეგ პოლიტიკურ მხარდაჭერას საქართველოს მთავრობისგან ითხოვს.

# ბანკი „ემ-ბი-ჯი" გორში ფილიალს ხსნის

სოფო კვინტრაძე

"საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი" ქსელს აფართოებს. გუშინ "ემ-ბი-ჯის" ფილიალის საზეიმო გახსნა ქალაქ გორში შედგა. ცერემონიალს შიდა ქართლის გუბერნატორი დავით ქობლიანიძე, ქალაქ გორის მერი პაატა ჩხეიძე და გამგებელი ზაზა კოშაძე დაესწრნენ. ფილიალის გახსნაზე იმყოფებოდა, აგრეთვე, "ემ-ბი-ჯის" დირექტორი ოლეგ ფლაუმანი. შიდა ქართლის ხელმძღვანელობა ერთსულოვნად აცხადებს, რომ გორში მიკროსაფინანსო ბანკის ფილიალის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა ადგილობრივი მეწარმეობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

**"ემ-ბი-ჯის" შიდა ქართლში შემოსვლა ძალზე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის. ეს ბანკი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გასცემს სესხებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ "ემ-ბი-ჯი" გორის მოსახლეობას ძალიან დაეხმარება. მართალია, გორში სხვა ბანკებსაც აქვთ ფილიალები, მაგრამ რაც უფრო მეტი იქნება მათი რაოდენობა, მით მეტი იქნება კონკურენციაც და, შესაბამისად, მომსახურების დონეც აიწევს,"** – აცხადებს პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში დავით ქობლიანიძე.

"ემ-ბი-ჯის" გახსნას ადგილობრივი მოსახლეობაც საკმაოდ დადებითად შეხვდა. განსაკუთრებით კი იმ გორელებს გაუმართლათ, რომლებიც "ემ-ბი-ჯის" 20-კაციან შტატს დააკომპლექტებენ.

"ემ-ბი-ჯის" გორის ფილიალის მმართველი თენგიზ დიდია: **"ბანკი კრედიტებს გასცემს ნებისმიერ მოქალაქეზე, როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირზე, რომელსაც არანაირი იურიდიული სტატუსი არ გააჩნია და, უბრალოდ, თავისთვის ეწევა მცირე ბიზნესს. გორი საკმაოდ დიდი რაიონია და დიდი პოტენციალიც გააჩნია მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამიტომ ჩვენ გვინდა, ხელი შევუწყოთ ადგილობრივ მოსახლეობას."** გორის ფილიალი რიგით მეთოთხმეტეა "ემ-ბი-ჯის" ქსელში. ბანკი "ემ-ბი-ჯი" 1999 წელს დაარსდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ. მისი აქციონერები ევროპული ბანკები არიან. ამჟამად "ემ-ბი-ჯის" მთლიანი აქტივების მოცულობა 38 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რითაც მან საქართველოს ოთხ უმსხვილეს ბანკს შორის დაიმკვიდრა ადგილი.

## საერთაშორისო ამბები

### გაერო-მ ისრაელს პალესტინიდან ჯარების გაყვანისაკენ მოუწოდა

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ისრაელს პალესტინის ქალაქებიდან ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანისაკენ მოუწოდა. რეზოლუცია ევროკავშირისა და პალესტინის დიპლომატებმა ერთობლივად მოამზადეს და მას გაეროს წევრთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ აუცილებელია პალესტინის ტერიტორიებზე სამოქალაქო და ჰუმანიტარული დახმარებების დაუყოვნებლივ მიწოდება. რეზოლუციის მიღებას წინ უსწრებდა მოხსენება ისრაელის ჯარების ჯენინის ლტოლვილთა ბანაკში შეჭრისა და ძალადობის შესახებ.

### ისრაელის სამხედროებმა ორი პალესტინელი მოკლეს

ისრაელის არმიის ვერტმფრენმა მდ. იორდანის დასავლეთ სანაპიროზე, სოფელ ჯაბასთან ახლოს ადგილზე გაანადგურა ორი შეიარაღებული პალესტინელი მოქალაქე. როგორც იუწყებიან, ერთი მათგანი – ალი აჯური გასულ თვეს თელ-ავივში განხორციელებული ტერაქტისათვის ისრაელის სპეცსამსახურების მიერ იძებნებოდა. ორივე პალესტინელი სამხედრო ფორმირების - "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადის" წევრი იყო.

ორშაბათს, ღამით ისრაელის არმიამ მორიგი საჰაერო დარტყმა მიიტანა ღაზას სექტორზე. თვითმხილველთა თქმით, "აპაჩის" ტიპის სამხედრო ვერტმფრენებმა ოთხი რაკეტა გაუშვეს ქალაქის აღმოსავლეთ რაიონში, რის შედეგადაც ხუთი ბავშვი დაიჭრა. სარაკეტო დარტყმებმა ქალაქის საცხოვრებელი შენობები დააზიანა. ისრაელის არმიის შეტევას ღაზას სექტორში მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები მოჰყვა.

### გერმანიაში საქველმოქმედო ფონდი დახურეს

გერმანიის ხელისუფლებამ აკრძალა ერთ-ერთი საქველმოქმედო ფონდის საქმიანობა. გერმანიის სპეცსამსახურების განცხადებით, ამ ფონდიდან ფინანსდებოდა პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია - "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადის" წევრი კამიკაძეების ოჯახები. ფონდი ასევე შემჩნეული იყო "ჰამასის" დაფინანსებაში.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, ფონდთან დაკავშირებით ამოქმედდა ანტიტერორისტული კანონი, რადგანაც "წამებულთა ბრიგადის" მიზანს ისრაელის სახელმწიფოს განადგურება წარმოადგენს.

### ბრიტანელი დიპლომატი ლიბიაში ჩავიდა

6 აგვისტოს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაიკ ო'ბრაიენი ლიბიის ხელისუფლებას ეწვია. ეს არის ბრიტანეთის წარმომადგენლის პირველი ვიზიტი მას შემდეგ, რაც 1984 წელს ლონდონმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ლიბიასთან. ორ სახელმწიფოს შორის კავშირები 1999 წელს განახლდა, როდესაც ლიბიის ხელისუფლებამ ბრიტანეთს თავისი ორი მოქალაქე გადასცა, რომლებიც ლოკერბის თვითმფრინავის აფეთქებაში ედებოდათ ბრალი. ო'ბრაიენი გამგზავრებამდე განაცხადა, რომ ლიბიის ხელისუფლების მოუწოდებს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში უფრო მჭიდრო თანამშრომლობისაკენ. განსაკუთრებით ... ლიბიის ... ბრიტანეთის ... და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. ო'ბრაიენმა ასევე განაცხადა, რომ ლიბიასთან ბოლო წლებში ურთიერთობების გაუმჯობესებამ ბრიტანეთისათვის გარკვეული დივიდენდები მოიტანა.

# ახალი დიდი ომი საქართველოს სამხრეთით - რას უნდა ველოდეთ ამერიკა-ერაყის დაპირისპირებისაგან?

პირველი გვერდიდან

დღეს თითქოს ისტორია მეორდება. საქართველოს სამხრეთით, გაცილებით უფრო ახლოს, ვიდრე ავღანეთია, ახალი დიდი ომი იგეგმება. ამერიკელ და ევროპელ ანალიტიკოსებს ეჭვი სულ უფრო და უფრო აღარ ეპარებათ, რომ ამერიკა ერაყის წინააღმდეგ ომს დაიწყებს და აუცილებლად მიაღწევს სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას.

სანამ ამ ომისა და საქართველოს ურთიერთკავშირზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხებით ერაყის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაციას.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, ჯონ ბოლტონმა გასული კვირის ბოლოს დარწმუნებით განაცხადა, რომ "მყარად სჯერა" ერთი წლის ვადაში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობისა. ამას დაემატა მასმედიაში გაჟონილი ცნობები პენტაგონის მიერ ერაყზე თავდასხმის კონკრეტული სამხედრო გეგმების შესახებ. მეტიც, გუშინ და გუშინწინ შეერთებულმა შტატებმა უკვე ორჯერ უარყო ერაყის შემრიგებლური ინიციატივა – ერაყის მიერ ჯერ გაერო-ს ინსპექტორების, მერე კი ამერიკელი კონგრესმენების მიწვევა მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნის პროგრამების შესამოწმებლად.

დასავლელი ანალიტიკოსების საერთო აზრით, ჯერჯერობით, ბრძოლა არა ერაყში, არამედ თავად ვაშინგტონში მიმდინარეობს – სამხედრო ოპერაციის სხვადასხვა ვარიანტის მომხრეებს შორის. ვაშინგტონმა სამხედრო მოქმედების რამდენიმე სცენარი დაამუშავა, რომლებიც სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

პირველი ვარიანტის მომხრეები "ავღანურ მოდელს", ანუ ერაყის მასიურ საჰაერო დაბომბვას უჭერენ მხარს იმ იმედით, რომ ეს სადამის წინააღმდეგ მასობრივ აჯანყებას გამოიწვევს;

მეორეა "ოქტომბრის სიურპრიზის" ვარიანტი, რომლის მიხედვითაც 50-ათასიანმა ამერიკულ-ბრიტანულმა დაჯგუფებამ ბაღდადი უნდა დაიკავოს და მმართველი რეჟიმი დაამხოს;

მესამე ვარიანტი "უდაბნოს ქარიშხალი II"-ს სახელს ატარებს და 225-ათასიან დიდ სახმელეთო შეტევას გულისხმობს.

რასაკვირველია, სამივე მოდელს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. პირველი ვარიანტის შემთხვევაში, სამხედრო-საჰაერო ოპერაცია, შეიძლება, უშედეგოდ დასრულდეს, რადგან სადამს სერიოზული ოპოზიცია არ ჰყავს. მეორე და მესამე ვარიანტების სუსტი წერტილი ამერიკელ ჯარისკაცთა პოტენციურად დიდი დანაკარგია, რაც ნებისმიერი ამერიკული სამხედრო ოპერაციისათვის პოლიტიკური აქილევსის ქუსლია.

ამერიკელებისათვის სამხედრო ოპერაციის მომზადება შედარებით ნაკლებად სერიოზული პრობლემაა. საკითხის პოლიტიკური მხარე გაცილებით მნიშვნელოვანია. რისთვის უნდა დასაჯონ სადამ ჰუსეინი? 1991 წლისაგან განსხვავებით, მას ხომ უცხო ქვეყანა არ დაუპყრია და არც ამერიკის წინააღმდეგ ჩაუდენია დიდი ტერორისტული აქტი. ამერიკელ "ქორებს" სხვა სერიოზული არგუმენტი აქვთ: საჭიროა სადამის რეჟიმის მანამ დამხობა, სანამ ის მასობრივი მოსპობის საშუალებებს ტერორისტულ ჯგუფებს მიაწვდის.

საინტერესოა, რომ ამერიკელებმა ერაყის წინააღმდეგ ომის განხილვა ლამის სახალხო-საზოგადოებრივ საქმედ აქციეს და "მოულოდნელობის ეფექტი" თითქმის მთლიანად გამორიცხეს. ეს მოწმობს, რომ ვაშინგტონს ყველაზე ნაკლებად ერაყის სამხედრო ძლიერება აფიქრებს. მაგრამ სადამს აქვს ორი სერიოზული იარაღი ამერიკელთა წინააღმდეგ. ერთი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრია, რომელიც ერაყს ლამის ამერიკული აგრესიის მსხვერპლად წარმოაჩენს, ხოლო მეორე - ერაყის მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც სადამის განკარგულებით, შეიძლება, ერაყის სამხედრო ინფრასტრუქტურის ცოცხალ ფარად იქცეს.

თუმცა, ჯერ არდაწყებული სამხედრო ოპერაციის დეტალების განხილვა ნაადრევია. ამიტომ სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვას დავუბრუნდებით, რომელიც ერაყთან შესაძლო ომის საქართველოზე გავლენას ეხება. მთავარი აქ კვლავ რუსეთის ფაქტორია.

რუსი პოლიტიკოსები ამჯერადაც დარწმუნებულნი არიან, რომ, რუსეთის დახმარების გარეშე, ამერიკა ერაყთან ომში ვერაფერს გახდება. რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელი მარგელოვი აცხადებს, რომ ამერიკას, რუსეთის დახმარების გარეშე, დიდი მსხვერპლი ელის. რუსეთის პრეზიდენტსა და უმაღლეს სამხედრო პირებს ჯერ არავითარი განცხადება არ გაუკეთებიათ. პუტინი, საერთო აღიარებით, პრაგმატული ლიდერია და, ალბათ, არც ერაყის წინააღმდეგ ომიდან სარგებლის მიღებაზე იტყვის უარს.

რუსეთ-ამერიკის სტრატეგიულმა თანამშრომლობამ, სამხედრო სფეროს გარდა, შეიძლება ენერგეტიკის სფეროც მოიცვას. ერაყთან ომი ნავთობს აუცილებლად გააძვირებს, ამიტომაც ამერიკამ, უკვე რამდენიმე კვირაა, თავისი ნავთობის რეზერვების შევსება დაიწყო. რეზერვმა 700 მილიონ ბარელს უნდა მიაღწიოს, რაც ამერიკას, კრიზისის შემთხვევაში, 8 თვის განმავლობაში ეყოფა. ამ პირობებში ნავთობით მდიდარი რუსეთი, შეიძლება, ფასდაუდებელ მოკავშირედ იქცეს.

ხომ არ შეეწირება საქართველოს ინტერესები ამერიკა-რუსეთის მორიგ თანამშრომლობას ერაყის ომის შემთხვევაში? პაუელ-ივანოვის ბოლო შეხვედრაზე თითქოს გაიჟღერა კიდეც პანკისის ხეობაში სავარაუდო ოპერაციაში რუსეთის შესაძლო მონაწილეობის თემამ. "24 საათის" წინა ნომერში ციტირებული იყო რუსი პოლიტოლოგის, ნიკონოვის აზრი, რომ "შევარდნაძე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება საქართველოში რუსეთის ჯარების შეყვანას, თუ მას დაურეკავს პაუელი და ეტყვის: "ასეა საჭირო"".

მოვლენათა ამგვარი განვითარების წინააღმდეგ რამდენიმე არგუმენტის პოვნა შეიძლება. პირველი, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვაშინგტონმა რუსეთი ისეთ აუცილებელ სტრატეგიულ მოკავშირედ მიიჩნიოს, რომლის მოთხოვნებსაც ასე პირდაპირ დაემორჩილება.

მეორეც, ნავთობის სფეროში რუსეთი საკმაოდ არაპროგნოზირებადი პარტნიორია და ამერიკა მხოლოდ მასზე დაყრდნობის პოლიტიკას არ აირჩევს. მით უმეტეს, რომ ეს კასპიის ნავთობის საკითხებში ვაშინგტონის პოლიტიკას ეწინააღმდეგება.

მესამე, ძნელად საფიქრებელია, ვაშინგტონმა ეჭვქვეშ დააყენოს საქართველოში თავისივე დაფინანსებული სამხედრო პროგრამების ეფექტურობა.

მეოთხე, თურქეთი, ალბათ, არ დათანხმდება კავკასიაში რუსეთის გავლენის ზრდას. ეს ქვეყანა კი ამერიკისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოკავშირეა ერაყის წინააღმდეგ, ვიდრე რუსეთი. თუ ვინმეს ინტერესებს გაითვალისწინებს აშშ, ეს, პირველ რიგში, სწორედ თურქეთი იქნება.

ამ არგუმენტებზე დაყრდნობით, ერაყის წინააღმდეგ ამერიკის ომის შედეგები საქართველოსთვის უფრო ნაკლებად შემაშფოთებელი უნდა იყოს, ვიდრე ეს ავღანეთის ომთან დაკავშირებით ჩანდა.

## სამართალი

# ცივი უარი რუსეთს



უსტინოვი ხელცარიელი და უკმაყოფილო ბრუნდება

ბესო გულაშვილის ფოტო

პირველი გვერდიდან

თავს დამნაშავედ სცნობენ ყველა იმ ბრალდებაში, რომელიც კი ქართველმა სამართალდამცველებმა წარუდგინეს.

რაც შეეხება დაკავებულთა რუსეთში ექსტრადიციას, ქართველ სამართალდამცველებს, რომლებმაც კანონის მოთხოვნების, ფაქტობრივად, უპრეცედენტოდ პრინციპული დაცვის მაგალითი გვაჩვენეს, ჩეჩნების გადაცემაზე საბოლოო უარი არ უთქვამთ. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის გენპროკურორს, რომელმაც, რატომღაც, პირადად ჩამოიტანა ქართველი კოლეგებისადმი საკუთარივე ოფიციალური მიმართვა დაკავებული ჩეჩნების რუსეთისთვის გადაცემის თაობაზე, პატიმართა წაყვანა გუშინვე ჰქონია განზრახული. მიუხედავად ამისა, მას არ უზრუნია იმ მასალების შეგროვებაზე, რომლებიც, შესაძლოა, დაკავებულთა ტერორიზმში ბრალდებებს ადასტურებდნენ და რომლებიც ქართველებს მათი ექსტრადირების საფუძველს მისცემდა. არადა, რუსეთს საქართველოდან სერიოზულ დამნაშავეთა ექსტრადიციის საკმაოდ კარგი პრაქტიკა აქვს, ოღონდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი იქნა დაცული. იგივე დეკუშევი ქართველებმა მაშინვე გადასცეს მათ, რადგან კასპიისკის ტერაქტში მისი მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთები რუსეთის მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა.

ახლა უკვე რუსეთის გენერალური პროკურორი აცხადებს, რომ რუსეთის მხარეს სწორედ იმისთვის სურს დაკავებულთა რუსეთში გადაყვანა, რომ მათი ტერაქტებში მონაწილეობა ან დაადასტუროს ან უარყოს, ქართველები კი ამის საშუალებას არ აძლევენ.

ქართული მხარის აბსოლუტურად კანონიერი მოთხოვნა ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენისა, აშკარად აღიზიანებს რუსეთს, რომელიც საქართველოს გენერალური პროკურორის უარს, ცხადია, პოლიტიკურ სარჩულს დაუდებს. დაკავებულთა ექსტრადიციის მოთხოვნით თვით რუსეთის გენერალური პროკურორის ჩამოსვლა, თავისთავად, ერთგვარი პოლიტიკური აქცია იყო, მით უმეტეს, რომ ამ ვიზიტის თაობაზე ინსტრუქციები მან თავად პუტინისგან მიიღო, თანაც არაერთხელ. საქართველოში ვიზიტის წინა ღამითა და უშუალოდ გამოფრენის წინ რუსეთის პრეზიდენტისა და გენერალური პროკურორის დახურულ კარს მიღმა საუბრების დეტალები უცნობი დარჩა, თუმცა აშკარაა, რომ პუტინმა, პოლიტიკური მოტივით, სამართლებრივი დოგმების უგულვებელყოფა არად ჩააგდო და აშკარად უკანონო მოთხოვნით საქართველოში თვით გენერალური პროკურორი გამოუშვა. სხვათა შორის, ამ ფაქტმა რუსი ჟურნალისტებიც გააკვირვა. "გაზეტა.რუ"-ს ინფორმაციით, უსტინოვმა მხოლოდ მას შემდეგ გაახმაურა თავისი გადაწყვეტილება საქართველოში გამგზავრების შესახებ, რაც პუტინის კაბინეტიდან გამოვიდა. შესაბამისად, რუსი კორესპონდენტები დარწმუნებულნი არიან, რომ უსტინოვს საქართველოში გაფრენა თვით პუტინმა უბრძანა, მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიციისთვის საჭირო მასალების შეგროვება ერთ ღამეში წარმოუდგენელი იყო. "გაზეტა.რუ" ასევე იხსენებს ქართველ მწყემსს, ლევან თელიძეს, რომელმაც ჩეჩნების საზღვარზე გადასვლის შესახებ ინფორმაცია რუს მესაზღვრეებს მიაწოდა.

"საქართველო-რუსეთის პროკურატურებს შორის ურთიერთობა, შესაძლოა, ამ მწყემსის გამოც დაიძაბოს, -- წერს "გაზეტა.რუ," – რადგანაც რუსეთის მხარე მის გადაცემაზე უარს ამბობს, მეტიც, პუტინმა იგი სიმამაცის ორდენითაც კი დააჯილდოვა, გარდა ამისა, მას რუსეთში სამუდამოდ დარჩენის უფლებაც მისცეს. ქართული მხარე კი მწყემსს სახელმწიფო საზღვრის დარღვევასა და რუსი მფრინავებისთვის იმ ქართული სოფლების კოორდინატების მიცემას ედავება, რომელთა მაცხოვრებლებთანაც უთანხმოება ჰქონდა". მიუხედავად იმისა, რომ რუსი ჟურნალისტები ამგვარი გზებით ცდილობენ, ახსნან საქართველოს გენერალური პროკურორის უარი, ამ შემთხვევაში იმ იშვიათ გამონაკლისთან გვაქვს საქმე, როცა ქართველი სამართალდამცველები მართლაც იცავენ კანონს და არ ითვალისწინებენ, რა პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას რუსეთისგან. ან კი, პირიქითაც, გარკვეული პოლიტიკური გარანტიები საქართველოს უკვე მიღებული აქვს, ოღონდ სულ სხვა მხრიდან.

# დაკავებულ ჩეჩნებს სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ

პირველი გვერდიდან

ძოლო მასალის მართლწინააღმდეგ შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის. შესაბამისად, მათ 10 წლით პატიმრობა ემუქრებათ.

თუმცა, მანამდე ქართველი ადვოკატები მათი დაცვის ქვეშ მყოფთათვის შემამსუბუქებელი გარემოებების მოპოვებას ცდილობენ.

აბდულ ვაჰაბ შამაევი დაპატიმრებიდან გუშინდლამდე უშიშროების იზოლატორში იმყოფებოდა. დღეიდან კი გამოძიების დასრულებას იგი, სხვა პატიმრებთან ერთად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 იზოლატორში დაელოდება. როგორც შამაევის ადვოკატმა, გიორგი ჩხატარაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მშვიდობიანი ჩეჩენი მოქალაქეა, რომელიც გროზნოს დაბომბვის გამო აულებში იმყოფებოდა. **"მაგრამ ბოლო პერიოდში, ჩეჩნეთის მთიანი სოფლების დაბომბვის შემდეგ, რუსებს ე.წ. გაწმენდები დაუწყიათ. ასეთ შემთხვევაში რუსი სამხედროები, თურმე, არავის ეკითხებიან, იბრძოდნენ თუ არა მათ წინააღმდეგ - უსიტყვოდ, ადგილზევე ხვრეტენ. შამაევი დღეს დაკავებულ ჯგუფს სწორედ თავშესაფრის ძებნის პერიოდში შეხვედრია და საქართველოში გადმოჰყოლია.**



დაპატიმრებული ჩეჩნები იზოლატორში გადაჰყავთ

იური ლობოდინის ფოტო

**ის, რომ შამაევი, დანარჩენ პატიმართა მსგავსად, დაჭრილი არ არის, იმაზე მეტყველებს, რომ იგი მეომარი არ გახლავთ და, აქედან გამომდინარე, რუს სამართალდამცველებს მასზე კომპრომატი ვერ ექნებათ"**, –განაცხადა ჩხატარაშვილმა, რომელიც უახლოეს მომავალში ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტებას აპირებს.

ხაჯაევისა და აზიევის ადვოკატი გოგიტა გაბაიძე არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, რუსებმა დაკავებულ ჩეჩნებზე კომპრომატები თავად შეთითხნონ და პატიმართა ექსტრადიცია ყალბი დოკუმენტების საფუძველზე მოითხოვონ. გაბაიძის მტკიცებით, მას უკვე გადაუმოწმებია თავისი დაცვის ქვეშ მყოფთა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ისინი აქამდე ძებნილებად არ ყოფილან გამოცხადებულნი.

# მოსამართლისა და დეპუტატის კინკლაობამ "თავისუფლების ინსტიტუტი" მოპასუხეობას გადაარჩინა

სოფო ბუკია

*სასამართლომ გურამ შარაძეს ვერ ჩამოართვა ხელწერილი იმის თაობაზე, რომ იგი ცრუ ჩვენებას არ მისცემდა*

პარლამენტარი გურამ შარაძის საჩივარი "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის, ლევან რამიშვილის წინააღმდეგ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა და მას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი განუცხადა. მიზეზი – შარაძემ იუარა ხელწერილის დადება, რომლითაც შეგნებულად ცრუ დასმენისთვის პასუხისმგებლობა უნდა ეკისრა.

ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მოსამართლე თემურ ტაბატაძე აცხადებს, რომ მსგავსი შემთხვევა, როდესაც მომჩივანი ცრუ დასმენაზე პასუხისგებას თავს არიდებს, მას არ ჰქონია. ტაბატაძე, რომელსაც შარაძესა და რამიშვილს შორის უნდა გაერკვია ურთიერთობა, თავად აღმოჩნდა დეპუტატის მორიგი საჩივრის მთავარი გმირი.

**"თქვენ მე ღიმილით არ მომესალმეთ, გაქვთ მოღუშული სახე და მიყურებთ როგორც პატიმარს. მე ვარ პარლამენტარი, მაქვს განსაკუთრებული დამსახურებები და მოვითხოვ შესაბამის ყურადღებას..."**

**"შენ ხარ უზრდელი, უცოდინარი... არ ხარ ამ დარბაზში ჯდომის ღირსი, რასაც მთელ მსოფლიოს გავაგებინებ..."** – ეს რეპლიკები 26 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმიდანაა ამოწერილი. დეპუტატი გურამ შარაძის რისხვის ადრესატი ამ შემთხვევაში მოსამართლე თემურ ტაბატაძეა. მომჩივანმა მოსამართლის აცილება მოითხოვა და "უზრდელი და კორუმპირებული" ტაბატაძის დასჯა იუსტიციის საბჭოს დაავალა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს დადგენილებაში, რომელიც გურამ შარაძესაც გაეგზავნა, წერია: "განმცხადებელს (შარაძეს) განემარტოს, რომ უკეთუ მის მიერ დატოვებული არ იქნება ხელწერილი შეგნებულად ცრუ დასმენისთვის პასუხისმგებლობის შესახებ, საჩივარი დატოვებული იქნება განუხილველად." (სტილი დაცულია. ს.ბ.)

"24 საათი" გურამ შარაძეს დაუკავშირდა. **"რა შემიძლია, ამის შესახებ გითხრათ, მხოლოდ გემრიელად გავიცინებ,"** - გვითხრა უკვე ორი საჩივრის ავტორმა, ბატონმა შარაძემ.

**"გემრიელი სიცილის"** ფონზე, მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ აღნიშნული სასამართლო სხდომა საერთოდაც არ შემდგარა, რომ სასამართლო სხდომის ოქმიც და, შესაბამისად, დადგენილებაც მთლიანად მოსამართლე ტაბატაძის უსაზღვრო ფანტაზიის ნაყოფია. **"სხდომა არც გახსნილა, არც დასრულებულა. საერთოდ, არც დაგვიწყია საქმის განხილვა, სკამზეც არ დავმჯდარვარ..."** - ამტკიცებს შარაძე და მოსამართლე ტაბატაძეს პროცესუალური ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს. მისი თქმით, სარჩელს, რომელიც მან 19 ივლისს შეიტანა ვაკე-საბურთალოს სასამართლოში, სათანადო ყურადღება არ მიაქციეს და სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ შეტყობინებაც არ აღირსეს.

მოსამართლის უყურადღებობის მიუხედავად, დეპუტატი თავად მისულა სასამართლოში და "ნორმალური" თემიდას მსახურის ნაცვლად, **"უზრდელი, უცერემონიო და ფინანსური თუ პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ"** მყოფი მოსამართლე შერჩენია ხელში. შარაძე მოსამართლეს არაპუნქტუალობაშიც სდებს ბრალს: **"11 საათზე მივედი. მოსამართლე არ დამხვდა. მისმა თანაშემწემ მითხრა, გზაშიაო... ეს კიდევ ერთი დარღვევაა ამ მოსამართლის მხრიდან – მან დაარღვია შრომის შინაგანაწესი და სამსახურში დაიგვიანა".** შარაძე ამტკიცებს, რომ ტაბატაძის თანაშემწემ მოსამართლის გარეშე შესთავაზა სხდომის დაწყება, რაც იუსტიციის საბჭოში გაგზავნილ საჩივარში ცალკე ბრალდებადაა შეტანილი.

რაც შეეხება ცრუ დასმენისთვის პასუხისმგებლობის შესახებ ხელწერილს, შარაძე აცხადებს, რომ, რადგან სხდომა არ ჩატარებულა, შესაბამისად, **"არ ყოფილა არავითარი ხელწერილი, რომელზეც ხელი უნდა მომეწერა ან არ მომეწერა"** და ამ ხელწერილის დაუწერლობას დიდ ცოდვად არ ითვლის.

ლევან რამიშვილი, ვის წინააღმდეგაც შეიტანა შარაძემ სარჩელი, ფიქრობს, რომ დეპუტატმა შეგნებულად არ დაწერა ხელწერილი, რადგან მისი დიდი სურვილია, ეს საქმე, რაც შეიძლება, მალე ჩაიფარცხოს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შარაძეს არაფერი აქვს სათქმელი და სასამართლოზე თავად მოუწევს თავის მართლება. საკუთარ სარჩელში შარაძე მიუთითებს, რომ რამიშვილმა მას ცილი დასწამა და საბჭოთა პერიოდის უშიშროების (სუკი-ს) აგენტობა დააბრალა. **"ამას შარაძე მხოლოდ სასარჩელო განცხადების დასაწყისში მიუთითებს. საბოლოოდ კი მოსამართლეს მხოლოდ ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური შუღლის სახით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევასთან დაკავშირებით სთხოვს საქმის აღძვრას და არა აგენტობის ბრალდებაზე პასუხის გაცემას. ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ამ ბრალდებას იგი ეთანხმება,"** - აცხადებს ლევან რამიშვილი.

თავად შარაძის აგრესიის "ობიექტი" - მოსამართლე თემურ ტაბატაძე - ირწმუნება, რომ მას ჩვევად არა აქვს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საკუთარ ფანტაზიებს გასაქანი მისცეს, ამდენად სასამართლო სხდომის ოქმში რეალური ამბებია აღწერილი.

თუმცა, მოსამართლე იმასაც აღიარებს, რომ აღნიშნული "რეალობა" დიდხანს არ გაგრძელებულა, სწორედ **"შარაძის უხასიათობის"** მიზეზით. **"შარაძის ადვოკატს, დავით ჯალაბაძეს, რომელთანაც ოცი წლის ნაცნობობა მაკავშირებს, ვუსაყვედურე, საჩივარში მხარეების მისამართები რომ არ მიუთითე, ამიტომ ვერ გამოგიგზავნეთ შეტყობინება-მეთქი. ამის თქმა იყო და შარაძე აფეთქდა... ცრუ დასმენისთვის პასუხისმგებლობის შესახებ ხელწერილის დაწერა დაწყებული ჰქონდა, მაგრამ დახია და გადააგდო. საშინელი შეურაცხყოფა მომაყენა... ერთი დედა არ უგინებია,"** - იხსენებს ამ, ასე ვთქვათ, სასამართლო სხდომას ტაბატაძე.

დიდი ორჭოფობის შემდეგ, მან შარაძის აფეთქების ფარული მიზეზიც გაგვანდო. მისი თქმით, დეპუტატი გურამ შარაძე ერთ უბრალო შემთხვევას დაუყენებია ცუდ გუნებაზე. როდესაც "არაპუნქტუალური" ტაბატაძე სასამართლოში გამოცხადებულა და იქ დეპუტატი შარაძე და ადვოკატი ჯალაბაძე დახვედრია, თურმე, მოსამართლე ჯერ ოცი წლის ნაცნობს - ჯალაბაძეს მისალმებია და მერე მომჩივან დეპუტატს. **"შარაძის ღირსებას, მისი აზრით, ჩრდილი მივაყენე იმით, რომ ჯერ ოცი წლის ნაცნობს მივესალმე და მერე მას, პარლამენტარს. ამის შემდეგ შარაძეს აშკარად დაეტყო, რომ გაღიზიანდა,"** - ასეთ დასკვნას აკეთებს მოსამართლე ტაბატაძე, რომელსაც, ალბათ, დროის დაბრუნება რომ შეეძლოს, 26 ივლისის დილას შარაძეს პირზე კოცნითაც მიესალმებოდა, სამახსოვრო საჩუქრითაც დახვდებოდა და იმ ძველ ნაცნობს საერთოდაც ვერ იცნობდა.

www.24hours.ge 24 B

# ინტელექტუალები აზარტული ხალხის პირისპირ

## მეორე ლიცენზირებული გადაცემა ქართულ ეთერში

ნანა ბასილაშვილი

საზოგადოებაში უკვე დიდი ინტერესი გამოიწვია ახალმა ტელეთამაშმა "ხალხის პირისპირ", რომელსაც "რუსთავი 2"-ის ეთერში სექტემბრიდან ვიხილავთ. ეს იქნება პირველი ტელევიქტორინა საქართველოში, სადაც ინტერაქცია მაყურებელსა და ტელევიზიას შორის მაქსიმალურია. "ვის უნდა 20 ათასისა" და სხვა შოუებისაგან განსხვავებით, სადაც ტელემაყურებელი პასიურად უყურებს გადაცემას, ეს თამაში ორმხრივია. "ხალხის პირისპირ" საქართველოში მეორე ლიცენზირებული ("ვის უნდა 20 ათასის" შემდეგ) გადაცემაა.



ახალი სტუდია

ბესო გულაშვილის ფოტო

აზარტული მაყურებელი თამაშის ფერხულში ერთი თვით ადრე ჩაება აქტიურად. საგანგებო ბლანკებზე (ბლანკები მხოლოდ გაზეთ "24 საათში" ქვეყნდება) დაწერილ კითხვებს სტუდიაში უკვე სისტემატურად აგზავნიან. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდან არაადეკვატური კითხვები შემოდის, რისი მიზეზიც ალბათ ის არის, რომ, მაყურებლის აზრით, მოთამაშის ჩასაჭრელად აუცილებლად რთული შეკითხვებია საჭირო. ამ დროისათვის სტუდიაში შემოსული შეკითხვები სირთულით "ვის უნდა ოცი ათასის" 20-ათასიან შეკითხვასაც კი აღემატება. სინამდვილეში, თამაშის წესების მიხედვით, ორიენტირად 200-400-ლარიანი კითხვები შეიძლება ავიღოთ. პროექტის მესვეურები რამე შეცდომისა და უზუსტობის თავიდან ასაცილებლად, შეკითხვის რედაქტირების უფლებას იტოვებენ (საჭიროების შემთხვევაში კითხვები შესწორდება, აუცილებლად გადამოწმდება მითითებული წყაროები და ა.შ.). თუმცა, ნებისმიერი შესწორების მიუხედავად, შეკითხვა მაინც ავტორს ეკუთვნის. რედაქციის მიერ შეკითხვები არ ფასდება, მაყურებელი იმ თანხას მოიგებს, რა თანხაც ექნება მოგებული მოთამაშეს იმ ეტაპზე, როცა ის მისი შეკითხვით ჩაიჭრება, ანუ მაყურებელი მოთამაშეს ართმევს მოგებულ თანხას (სრულად თუ ნაწილობრივ, ამას კიდევ ერთი პატარა დეტალი განსაზღვრავს). ეს, რაც შეეხება აზარტულ და თამაშის მსურველ მაყურებელს.

ახლა რისკიანი მოთამაშის ანუ კონკურსანტების საყურადღებოდ. გადაცემის ორგანიზატორების თქმით, თამაში გათვლილია ზოგადი განათლების მქონე ფართო დემოგრაფიულ ჯგუფზე (ანუ ეს არ არის გათვლილი მხოლოდ განსაკუთრებული ერუდიციის მქონე ადამიანებზე). თამაშში მონაწილეობის მსურველთათვის სულ მალე გაზეთ "24 საათში" შესაბამისი ანკეტა გამოქვეყნდება. არსებობს სამი ძირითადი პარამეტრი, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება შევსებული ანკეტები და შეირჩევიან კონკურსანტები. ამ ანკეტის მიხედვით განისაზღვრება კონკურსანტის ზოგადი განათლების დონე, შოუში მონაწილეთა საყურადღებოდ, "ხალხის პირისპირ" გაცილებით რთულია, ვიდრე "ვის უნდა ოცი ათასი". თამაშისათვის აუცილებელი პირობაა, კონკურსანტი აზარტულობით, რისკიანობითა და ენთუზიაზმით გამოირჩეოდეს. თვალსაჩინოებისათვის კვლავ "ვის უნდა ოცი ათასს" შევადაროთ: ამ შემთხვევაში მოთამაშე მინიმალური მოგებით არ უნდა დაკმაყოფილდეს, აქ რისკი აუცილებელია, კონკურსანტმა თამაში ბოლომდე უნდა მიიყვანოს. თამაში მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება საინტერესო და მონაწილეც საკმაოდ დიდ თანხას მოიგებს.

ანკეტა ვრცელია, მაგრამ ეს ნუ შეგაშინებთ, მისი შევსება არ არის რთული. როგორც თამაში, ასევე ანკეტაც, ინგლისური ვარიანტის იდენტურია. რა თქმა უნდა, იგი ქართულ რეალობასთანაა მისადაგებული. თუ გსურთ, ანკეტების შერჩევისას უპირატესობა მოგენიჭოთ, გეტყვით, რომ ყურადღება მიექცევა მოკლე, ლაკონურ პასუხებს, ცოტა ფანტაზიასა და გულახდილობას.

რაც შეეხება თამაშის წესებს, თამაშში ხუთი რაუნდია, თითო რაუნდში - ხუთ-ხუთი შეკითხვა. დასმული შეკითხვები სხვადასხვა მაყურებელს ეკუთვნის. ხუთივე რაუნდის გასავლელად კონკურსანტს მხოლოდ ოთხი წუთი ეძლევა. პირველ რაუნდში კონკურსანტს უფლება აქვს, უპასუხოს მხოლოდ ერთ შეკითხვას, მეორეში ორს, მესამეში სამს და ა.შ. მეხუთე რაუნდში მან პასუხი ხუთივე შეკითხვას უნდა გასცეს. გამარჯვების შემთხვევაში მოთამაშე ორი ათას ლარს იგებს. ამის შემდეგ მას შეუძლია თამაში ჩაჭრამდე გააგრძელოს. აქედან გამომდინარე, მოგებული თანხაც განუსაზღვრელია. თუმცა, რაუნდებს შორის თამაში კონკურსანტის სურვილის მიხედვით შეიძლება შეწყდეს. რაც შეეხება დახმარებებს, აქაც სამი დახმარებაა. კონკურსანტთან წინასწარ იქნება შეთანხმებული, თუ რომელ სფეროშია შედარებით უფრო გათვითცნობიერებული. დახმარებებსაც ამის მიხედვით შესთავაზებენ. თუკი მოთამაშეს რომელიმე კითხვის პასუხი არ ეცოდინება, შეკითხვა მის მიერვე არჩეული კატეგორიიდან შეიცვლება. სამივე დახმარება ამაში მდგომარეობს.

რაც შეეხება სტუდიას, როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი სტუდია დღეისათვის საქართველოში არ არის. მისი მშენებლობა თითქმის უკვე დასრულებულია. აქ საკმაოდ რთული კომპიუტერული სისტემაა. საბოლოო დამონტაჟებისთვის კომპიუტერის ინგლისელ სპეციალისტს ელოდებიან. პირველ საეთერო გადაცემას სპეციალურად ამ შემთხვევისათვის ჩამოსული ბრიტანელი პროდიუსერი გააკეთებს. ყველაფერი თამაშის გამომგონებლის, "სელადორის" რეკომენდაციით კეთდება.

# ხელოვნება თუ იდეოლოგია

## ანუ ვინ ქმნის საქართველოში კულტურის პოლიტიკას.

ქეთევან ქარხალაშვილი

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამონათქვამი კულტურასთან მიმართებაში ამგვარად ჟღერს: დღეს კულტურის არანაირი პოლიტიკა არ არსებობს. ერთი შეხედვით, შესაძლოა, ეს დადებით ფაქტორად მოგვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკოსთა "პოლიტიკას" თავად პოლიტიკის მიმართ. ამ შემთხვევაში თითქოს უმჯობესია, კულტურა განსაკუთრებული ყურადღების მიღმა დარჩეს და არ გახდეს სხვისი ინტერესების საგანი (თუმცა, ამგვარი ინტერესების მსუბუქი გამოვლინება გახლდათ ახლო წარსულში არჩევნების დროს ხელოვანთა მიერ ამა თუ იმ პარტიისათვის გამართული აქციები, კონცერტები თუ გამოფენები, სადაც კურიოზულ ფაქტსაც ჰქონდა ადგილი, როცა მხარდამჭერ მხატვართა შორის გამოფენაზე გარდაცვლილი მხატვრის გვარი და ნამუშევრებიც აღმოჩნდა). მტკიცება კულტურის პოლიტიკის არარსებობის შესახებ იმდენად ჩაიბეჭდა ჩვენს ცნობიერებაში, რომ უნებურად დავიჯერეთ კიდეც, რომ არსებული ეკონომიური სიდუხჭირის პირობებში საზოგადოება, უბრალოდ, ვერ იცლის კულტურისათვის-იგი ხომ საკმაოდ დიდ ფინანსურ სახსრებს მოითხოვს. მიუხედავად კულტურის მოღვაწეთა თხოვნის, მოთხოვნის, მიმართვებისა თუ პროტესტისა, კულტურის პოლიტიკა არ იცვლება. თუმცა, მე ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგები, როცა ვამტკიცებ, რომ დღეს საქართველოში მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკა სტრატეგია კულტურის მიმართ არ არსებობს, მაგრამ ამ პოლიტიკის არარსებობაც თავისთავად პოლიტიკაა, რომელიც დიდი ხანია ტარდება სწორედ კულტურის მიმართ.

მიუხედავად ამ პოლიტიკის არარსებობისა, მაინც არის გარკვეული ძალა, არიან ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ, აკეთებენ, იდეებს ასხამენ ხორცს. ამ ფარული "ზრუნვის" შედეგებს საზოგადოება მოულოდნელად აღმოაჩენს ხოლმე; მაგალითად-დილით ადრე სამსახურისაკენ მიიჩქარი და ხედავ, დგას ძეგლი, რომელიც გუშინ, როცა სამსახურიდან შინ ბრუნდებოდი, აქ არ იდგა. სასწრაფოდ ეწყობა საზეიმო გახსნა, მერე საზოგადოება მხრების აჩეჩვით შეჰყურებს ახლად ამოსულ "სოკოს" და ბოლოს ეგუება კიდეც, იქნებ არც ეგუება.

დიახ, ჩვენი განსჯის მიზეზი სწორედ ერთერთი ამგვარი "სოკოა", რომელიც ახლახან აღმოცენდა თბილისში, მთავარ გამზირზე ეროვნული, ე.წ. "ცისფერი" გალერეის წინ. კერძოდ, საუბარია ელენე ახვლედიანის სკულპტურულ გამოსახულებაზე, მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილის ავტორობით. როცა მხატვარი ქმნის, მას ამისათვის რამდენიმე მიზეზი ამოძრავებს; ერთი ყველაზე უანგარო და ნამდვილია-თავად შემოქმედის დამოკიდებულება ობიექტის მიმართ, მისი აღიარება, სიყვარული, რომელიც ხორცშესხმულია გარკვეული ფორმით. მეორე მიზეზია შეკვეთა, როცა მხატვარი თავად ვერ ირჩევს ობიექტს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას მის მიმართ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, უეჭველია, რომ ავტორი არავითარ გრძნობა, ემოციას, უფრო მეტიც, დამოკიდებულებაც კი არ გააჩნია ობიექტის მიმართ. ბოლოს და ბოლოს, შრუძლებელია, ადამიანი ამგვარად მოეპყრას საყვარელ არსებას, ან თუ ეს სიტყვა ფამილარულად ჟღერს-ხელოვანი ხელოვანს, როგორც თაყვანისცემის საგანს. ესე იგი აქ საუბარია შეკვეთაზე, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ავტორმა ნაკლებად შეძლო თავისი პრიორიტეტის გამოყენება და დამოკიდებულების გამოხატვა ობიექტის მიმართ. თავისუფლად შეიძლება ითქვას, ავტორი შეგნებულად უარყოფს ყოველგვარ ტრადიციას და ძეგლს უდგამს უბრალოდ სახელს, რომელიც ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის. და რატომ მაინც და მაინც ელენე ახვლადიანი? აქაც საკმაოდ მარტივი ლოგიკაა: აქეთ დავით კაკაბაძე, იქით ელენე ახვლედიანი, ქართული ფერწერის სხვადასხვა სქესის ორი ბრწყინვალე წარმომადგენელი.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს უშუალოდ ამ ქანდაკებაზე საუბარი. იგი საინტერესოა არა როგორც კონკრეტული ფაქტი, არამედ როგორც სხვა მსგავს მოვლენათა ჯაჭვის შემადგენელი ნაწილი და ბოლოს, თავად სიტუაცია, გარემო თუ "კულტურის პოლიტიკა", რომელიც ქმნის ამგვარ "სოკოებს". რა მიზანი აქვთ მათ, თუ ისინი არ ითვალისწინებენ ტრადიციას და არ ქმნიან ახალს; ფაქტია, რომ ყბადაღებული უფინანსობის პირობებში მაინც იძებნება სახსრები მათ შესაქმნელად.

კულტურის პოლიტიკის შესახებ გვესაუბრება ნანა ყიფიანი, ხელოვნებათმცოდნე: "მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა ან უკეთესის ან უარესის გამომხატველია. მე ზოგადად პროცესისადმი მაქვს ჩემი დამოკიდებულება. ბაგებიდან ორთაჭალამდე ძეგლების რაოდენობა დავთვალე, მათი რიცხვი ოცს აღწევს. ეს არის იმ პოლიტიკის გადმონაშთი, რომელიც სათავეს საბჭოთა კავშირიდან იღებს. საბჭოთა კავშირში მონუმენტური ქანდაკება იყო შესანიშნავი საშუალება იდეის პროპაგანდისა, ეს პოლიტიკა დღემდე არ შეცვლილა. იგი უგულვებელყოფს ეროვნულ ტრადიციას და ამკვიდრებს საბჭოთა ესთეტიკას. ამით ზარალდებიან მოქანდაკეები, რომლებიც ჭეშმარიტად ქმნიან და ზარალდება საზოგადოება. არასწორია შეხედულება, თითქოს კულტურის პოლიტიკა არ არსებობს, პირიქით იგი არსებობს და ცდილობს, ძალით შეინარჩუნოს ის, რაც საბჭოეთმა ჩვენამდე შემოინახა. ეს არის ერთერთი საშუალება საზოგადოება პროვინციალიზმის ჩიხში ჩატოვო."

საინტერესოა თავად ფაქტი, თუ როგორ ჩნდება ქანდაკების დადგმის ინიციატივა. ამისათვის ასევე სხვადასხვა ხერხი არსებობს: სახელმწიფო შეკვეთა და თავად მოქანდაკის მიერ მიძღვნილი საჩუქრის ფორმა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოქანდაკე უკვე დიდი ავტორიტეტია, რადგან დარწმუნებულია, რომ მადლიერი ქალაქი მიიღებს მის საჩუქარს. სახელმწიფო შეკვეთის შემთხვევაშიც მოქანდაკე მთავრობის მიერ აღიარებული შემოქმედია. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ ავტორიტეტებს ქმნის სახელმწიფო თავისი ინტერესების შესაბამისად. შეუძლებელია, ე.წ. ავტორიტეტმა, სახელმწიფოს ნებიერმა მხატვარმა შექმნას ნამდვილი ხელოვნება, რადგან ჭეშმარიტი შემოქმედება შორსაა პოლიტიკისაგან და მით უმეტეს არ გამოდგება რაიმე იდეის, იდეოლოგიის პროპაგანდისათვის. ხელოვანი, რომელსაც პოლიტიკა იყენებს, კონფორმისტია, გულუბრყვილო, თვითკმაყოფილი კონფორმისტი.



გიორგი ცაბაძე



ელენე ახვლედიანი



დავით კაკაბაძე



გიორგი ლეონიძე

გოჩა ბახაიძის ფოტოები

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქცია კითხვის შესადგენად:
[illegible] 20 000 [illegible] 200 და 400 [illegible] 1971-1991 [illegible]

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

[illegible]

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

[illegible] "რუსთავი 2", [illegible] "ხალხის პირისპირ", [illegible] 45, 380077 [illegible] 20-00-12.

წესები კითხვის შესადგენად:
[illegible] "ხალხის პირისპირ" [illegible] "24 საათში" [illegible] "რუსთავი 2" [illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

ჭიდაობა

## იაპონელმა კასპში იჭიდავა

იაპონელები ქართული ჭიდაობით დაინტერესდნენ. სპორტის ამ სახეობის უკეთ გასაცნობად და შესასწავლად საქართველოში ჩამოვიდნენ იაპონიის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი იამადა სუნჯი, ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი კამი ტოსაჰირო და ქალთა ნაკრების წევრი მიდორი კოიამა. აზიელ სტუმრებს მასპინძლობა საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა, ნოდარ ექვთიმიშვილმა და ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ იაძემ გაუწიეს. სტუმრებს ქართული ჭიდაობის შესახებ ბევრი სმენიათ, მაგრამ ორთაბრძოლები საკუთარი თვალით არასოდეს ენახათ. საბოლოოდ, იაპონელთა ტრიო კასპის რაიონის სოფელ ახალციხეში გაემგზავრა, სადაც ტურნირი იმართებოდა და მასში მონაწილეობდნენ კასპის რაიონის მოჭიდავეები. ყველა ორთაბრძოლა უკომპრომისო და დაძაბული გამოდგა. იაპონელი ტამი ტოსახირო მოხიბლული და გაოცებული დარჩა. იგი იმდენად შევიდა აზარტში, რომ სასწრაფოდ მოითხოვა სარბიელზე გასვლა. ტოსახიროს თხოვნა შეუსრულეს. მან პირველი ბრძოლა ფრედ დაასრულა, მეორეში კი გაიმარჯვა და სიმბოლური პრიზიც მიიღო. "საოცრად რთული სახეობაა. აქ უამრავი საინტერესო, ჩვენთვის უცნობი ილეთი ვიხილე. შევეცდები, ყველაფერი საფუძვლიანად შევისწავლო და ჩემს თანამემამულეებს ვასწავლო," - განაცხადა იაპონელმა. ხალიჩაზე გასვლა მოიწადინა იაპონელმა მოჭიდავე ქალმა, მაგრამ მიდორი კოიამასთან ჭიდაობა ქართველმა მოჭიდავეებმა არ ისურვეს. " საწყენია, რომ ჭიდაობა ვერ მოვახერხე. ისე კი, ძალიან რთული სახეობაა. მოვიხიბლე ქართველების ტექნიკით და ილეთების შესრულების სტილით. ბევრი რამ ჩვენც გამოგვადგება. იაპონიაში ჭიდაობა ძალიან პოპულარულია. ვიცი, რომ ჩვენი ძიუდოისტები ქართული ჭიდაობის ილეთებსაც იყენებენ, თანაც ეფექტურად. ასე რომ, ძალიან მიხარია, ჩვენს შორის თანამშრომლობა რომ განახლდა," – თქვა კოიამამ. ძველი კავშირების აღდგენით კმაყოფილი იყო იაპონიის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი იამადა სუნხი: "ჩვენ საქართველოში კიდევ ჩამოვალთ. ერთი ვიზიტი ნამდვილად არაა საკმარისი. ქართული ჭიდაობა ნამდვილად ცალკე ფენომენია. მას უმდიდრესი და უძველესი ტრადიციები აქვს." აღსანიშნავია, სამი იაპონელი საქართველოში საკუთარი ინიციატივით ჩამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებულები იყვნენ საქართველოში არსებული მძიმე კრიმინოგენური სიტუაციის შესახებ. თუმცა, იამადა სუნჯი, კამი ტოსახირო და მიდორი კოიამა მაინც ჩამოვიდნენ საქართველოში. უახლოეს მომავალში, საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი, ნოდარ ექვთიმიშვილი და ოლეგ იაძე იაპონიაში საპასუხო ვიზიტით გაემგზავრებიან.

## რუსებმა და თურქებმა შუაში მოგვიმწყვდიეს

### "ანზორი XXI საუკუნე" ჭიდაობით დაინტერესდა

გიგა გურასაშვილი

ვილნიუსმა კადეტთა შორის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს (1-4 აგვისტო) უმასპინძლა. ევროპულ ხალიჩაზე ერთმანეთს პირველობას 30 ქვეყნის ფალავნები ეცილებოდნენ. საქართველოს ნაკრები 9-კაციანი შემადგენლობით ეწვია ლიტვის დედაქალაქს და ოთხი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩემპიონობამდე თითო ნაბიჯი დააკლდათ: გოჩა ახალაძეს (50კგ), მალხაზ ქურდიანს (54კგ), მიხეილ ზარქუას (63კგ) და არჩილ გიგაურს (69კგ). მათ შორის ყველაზე გამობრძმედილი ქურდიანია, რომლისთვისაც კონტინენტის პირველობა, რიგით, მეორე გახლდათ. კობა კაკალაძე (58კგ) და ბაჩანა კარანაძე კი კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ. თუმცა, შეიძლებოდა უკეთესი შედეგისთვისაც მიგვეღწია, რადგან მამუკა გურგენიძემ (46კგ), არჩილ ბარამიძემ (76კგ) და ას კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ნუკრი სიხარულიძემ მეხუთე ადგილები დაიკავეს. მიუხედავად ამისა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პრიზიორ თანაგუნდელებს გუნდურ მეორე საპრიზო ადგილის დაკავებაში შეშველებოდნენ.

მართალია, გუნდი ვილნიუსიდან ჩემპიონის გარეშე დაგვიბრუნდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ფალავნებს სავარჯიშო პირობები არა აქვთ, მაშინ, დღევანდელი გადასახედიდან, არც ეს უნდა იყოს ურიგო შედეგი. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ბენდიანიშვილმა გვითხრა, ოქროს მედლისკენ მიმავალი გზა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, გადაგვიღობეს არა მსაჯებმა, არამედ ძლიერმა მეტოქეებმა. ფინალში ქართველ ფალავნებს ორთაბრძოლა ბელორუს, თურქ და რუს მოჭიდავეებთან მოუწიათ. ეს უკანასკნელნი კი სულაც გუნდურ პირველ ადგილს დაეუფლნენ, მესამე კი თურქებმა მოიპოვეს.

სხვათა შორის, ქართველ ფალავანთა პაექრობებს თვალყურს ადევნებდა მოსკოვში მცხოვრები ცნობილი ბიზნესმენი, ფონდ "ანზორი XXI საუკუნეს" პრეზიდენტი ანზორ კიკალიშვილი. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი იგი ქართველ მოჭიდავეებს ბალავაძე-კარტოზიას ტურნირის მოწყობას და სამი საჭიდაო ხალიჩის შეძენასაც დაპირდა.



საქართველოს კადეტთა ნაკრები

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კრივი

## WBC-ს პრეზიდენტი სულაიმანი ტაისონს და ლუისს უჩივის

კრივის საერთაშორისო საბჭოს (WBC) პრეზიდენტმა, მექსიკელმა ხოსე სულაიმანმა მსოფლიოს ჩემპიონ ლენოქს ლუისს და მაიკ ტაისონს, სხეულის დაზიანების გამო, ქალაქ მანჰეტენის საოლქო სასამართლოში უჩივლა. WBC-ს 71 წლის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ამა წლის 22 იანვარს, დასახელებულ მოკრივეთა მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე მომხდარი მუშტი-კრივის დროს, მან მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმები მიიღო. სულაიმანის ადვოკატის ტომას დეასის თქმით, მაიკ ტაისონმა WBC-ს პრეზიდენტს შეაფურთხა, სცემა და მოკვლით ემუქრებოდა.

ჯერ არ დაზუსტებულა, ლენოქს ლუისმა სცემა თუ არა სულაიმანს, მაგრამ პრეზიდენტი ინგლისელ მოკრივესაც უჩივის.

ჩხუბის დროს ხოსე სულაიმანი წაიქცა და მაგიდას თავი ჩამოარტყა, რის გამოც ცოტა ხნით გონება დაუკარგავს. ტვინის შერყევის დიაგნოზით ის ჰოსპიტალში წაიყვანეს, საიდანაც ხანგრძლივი გამოკვლევის შემდეგ სახლში დაბრუნდა.

პრესკონფერენციაზე ატეხილი მუშტი-კრივის გამო, 6 აპრილს დაგეგმილი ბრძოლა გადაიდო. მოკრივეები ერთმანეთს, ორი თვის დაგვიანებით, მემფისში შეხვდნენ. ბრძოლა მერვე რაუნდში ლენოქს ლუისის ტრიუმფით დასრულდა.

ფეხბურთი

## გადაიხადე და ითამაშებ

პაატა თოთაძე

ქართული ფეხბურთს რომ ღრმა კრიზისი აქვს, ამას პირველი ტურის სამი ჩაშლილი მატჩიც ადასტურებს. სანახევრო ჩემპიონატს კი ჩემპიონატი არ ჰქვია. ამ ვითარების გამომწვევი მიზეზი უამრავია.

კანონს პატივისცემა და მორჩილება სჭირდება. კანონით კლუბებს 22 000 ლარი აქვთ გადასახდელი. მაგრამ რა უნდა გააკეთონ, თუ მათ ეს თანხა არ გააჩნიათ? ნორმალურ ქვეყნებში ასეთ გუნდებს ჩემპიონატიდან თუ არ გარიცხავდნენ, დაბალ ლიგაში მაინც დააქვეითებდნენ. გაჭირვების გამო, ადრე ფედერაციამ სხვადასხვა კლუბებს არაერთხელ გაუწია შეღავათი. რატომ იჩენს წლეულს ფედერაცია ასეთ პრინციპულობას?

უმეტესობის აზრით, ამ კლუბების მიმართ ფედერაციის ასეთი მკაცრი დამოკიდებულება განპირობებულია მათი პეტრიაშვილისადმი მხარდაჭერით. თავად ფედერაციის წარმომადგენლები, ბუნებრივია, ამას უარყოფენ და მაგალითად ასახელებენ რუსთავის "გორდას", რომელიც ჟორდანიას მხარდამჭერად ითვლება.

გუშინ ზესტაფონის "მეტალურგმა" და წნორის "მილანმა" ფედერაციაში 11 000 ლარი მიიტანეს. კლუბებს ამ თანხის მიტანა პირველი ტურის წინ ფედერაციის განცხადებამ გადააწყვეტინა, სრული თანხის ნახევარი შემოიტანეთ და თამაშის ნებას დაგრთავთო. გუშინ პირველმა თანხა "მეტალურგის" წარმომადგენელმა მიიტანა, მაგრამ როგორც კლუბის პრეზიდენტმა ნუგზარ მდივანმა განაცხადა, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ მისგან ეს თანხა არ მიიღო. "ამისათვის ბუღალტერია არსებობს" , - თქვა ჩვენთან საუბრისას შოთაძემ.

"მილანის" პრეზიდენტმა მარიამ ფირცხალაიშვილმა გეზი პირდაპირ ბუღალტერიისკენ აიღო, სადაც კლუბის სახელზე წერილი დახვდა, რომელშიც ფედერაცია "მილანს" მეორე ტურამდე თანხის სრულად დაფარვას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი კლუბის ჩემპიონატიდან გარიცხვით იმუქრებოდა.

"ეს, უბრალოდ, დაცინვაა, არა მარტო ჩვენი კლუბის, არამედ მთელი ქართული ფეხბურთის. ფედერაციის ხელმძღვანელობას, ამ ოთხი წლის განმავლობაში, ქართული ფეხბურთისთვის არაფერი გაუკეთებია. ერთხელაც კი არ უკითხავთ, როგორ ახერხებდნენ კლუბები არსებობას. სწორედ ამიტომ ვარ მათი წინააღმდეგი. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, მომავალი პრეზიდენტი ვინ იქნება - პეტრიაშვილი თუ სხვა, მთავარია, ამჟამინდელი ხელმძღვანელობა თავის პოსტზე არ დარჩეს. რაღაა სათქმელი, როცა კახეთში მომხდარი სტიქიურ უბედურებას მთელი მსოფლიო გამოეხმაურა და დახმარება გაგვიწია, ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კი პირიქით, კიდევ უფრო მეტად გვიმძიმებს მდგომარეობას. მე ხვალ მივალ ფედერაციაში და ბუღალტერიაში 11 000 ლარს შევიტან. 11 აგვისტოს კი "ვიტ ჯორჯიასთან" წავალთ სათამაშოდ, ჩვენს გულშემატკივრებთან ერთად. თუ ფედერაციამ მაინც არ მოგვცა თამაშის უფლება, მე პასუხს არ ვაგებ იმაზე, რაც შეიძლება ამას მოყვეს", - აცხადებს "მილანის" პრეზიდენტი.

ყველაზე ცუდ დღეში თბილისის "მერანია". კლუბის ფინანსური მდგომარეობა უმძიმესია. დღეს კლუბის პრეზიდენტი ანზორ მამალაძე შესაძლო სპონსორს შეხვდება და თუ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა, "მერანი" მეორე ტურამდე მოახერხებს დაწესებული თანხის გადახდას, თუ არადა, მასაც ჩემპიონატიდან გარიცხვა ემუქრება.

მოკლედ, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ ამ კვირის ბოლომდე გაირკვევა.

## "ეს სამოქალაქო არჩევნები არაა"

24 აგვისტომდე ქართული საფეხბურთო სამყაროს მთავარი სალაპარაკო თემა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები იქნება. გუშინწინ, "24 საათის" ფურცლებზე, არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციაზე ვაჟა ჟვანიამ ისაუბრა, რომლის ზოგიერთმა მოსაზრებამ გარკვეული რეაქცია გამოიწვია. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, დავით პეტრიაშვილის ადვოკატის, დავით ებრალიძის თქმით, პეტრიაშვილის მხრიდან კლუბების არანაირ მოსყიდვაზე საუბარი არ შეიძლება. ისე რასაც პეტრიაშვილი თავისი პრეზიდენტობის პერიოდში აპირებს, შეეხება არა მხოლოდ რამდენიმე, არამედ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე უკლებლივ ყველა კლუბს.

"აქ არაა ლაპარაკი იმაზე, რომ პეტრიაშვილი ამ კლუბებს გადასახადებისგან მუდმივად გაათავისუფლებს. აქ არის სრულიად კონკრეტული მოთხოვნა, რომელიც კლუბების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხება, რაც ქართული კლუბების უმთავრესი პრობლემაა. პეტრიაშვილის პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია გრანტების მექანიზმის შემოღება, რითაც ის დაეხმარება კლუბებს ინფრასტრუქტურის - მოედანი, ბაზა და ა.შ. – მოწესრიგებაში. სპონსორების დახმარებით, ის შეძლებს ჩემპიონატის ორგანიზებას, ხოლო ის თანხა, რომელსაც ახლა იხდიან კლუბები, დაუბრუნდებათ ისევ მათ და ამ პრობლემას მოხმარდება. შემდგომ ყველას მოეთხოვება პასუხი, თუ როგორ გამოიყენა ეს თანხა. არანაირ მოსყიდვაზე საუბარი აქ არ შეიძლება იყოს... ჩვენს ოპონენტებს არ ესმით, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი არა სხვა რამის გამო ირჩევა, არამედ იმიტომ, რომ დააკმაყოფილოს კლუბების ინტერესები. არჩევნების წინ ყველას აქვს თავისი პროგრამა და ვისიც უკეთესი იქნება, ის მოიგებს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები არაა ჩვეულებრივი სამოქალაქო არჩევნები, სადაც სულ სხვა ინტერესები, ღირებულებები და ამოცანებია. ეს არის ბიზნესი, რომელიც უნდა იყოს სამართლიანი და ამ ბიზნესში ყველა მონაწილე სუბიექტი კმაყოფილი უნდა დარჩეს. თუკი პეტრიაშვილი დააკმაყოფილებს კლუბების ინტერესებს, ვის რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო. პეტრიაშვილის სიძლიერე სწორედ ისაა, რომ მან შეძლო ბიზნესმენების დარწმუნება - ფული ჩაედოთ ქართულ ფეხბურთში", - აღნიშნა "24 საათთან" საუბარში ებრალიძემ.

არის თუ არა მოსყიდვა და დანაშაული კლუბებისთვის შეღავათების გაწევა? ამ საკითხზე ადვოკატს ასეთი პოზიცია აქვს: "სამართლებრივად არავითარი პრობლემა აქ არ არის. კანონი არ დარღვეულა. მოსყიდვა რომ ყოფილიყო, მაშინ პეტრიაშვილი რომელიმე კლუბს, ხმის მიცემის სანაცვლოდ, რაიმე შეღავათს შეჰპირდებოდა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ეს შეეხება არა კონკრეტულად რომელიმეს, არამედ ყველა კლუბს. პეტრიაშვილი ცდილობს, ყველა კლუბის ინტერესი დააკმაყოფილოს, მათ შორის არავის გამოარჩევს და ამას საქვეყნოდ აცხადებს."

## "ბაიერი" ჭაობში ეფლობა

ნინო პირველი

ლევერკუზენის "ბაიერი", წლების განმავლობაში, ბუნდესლიგაში ყოველთვის ყველაზე მოწესრიგებულ კლუბად ითვლებოდა. ამ გუნდის წარმომადგენლები არასოდეს შეუმჩნევიათ რაიმე სახის დარღვევაში. "ბაიერი" მუდამ წესრიგის სიმბოლო იყო, მაგრამ... ჯერ კრისტოფ დაუმთან და კოკაინთან დაკავშირებული სკანდალი აგორდა, რის გამოც ლევერკუზენური კლუბი და მისი თავკაცი ლამის მთელმა მსოფლიომ გაიცნო. ახლა კი, როცა კრისტოფ დაუმის სასამართლო პროცესი უკვე დამთავრდა და გაკიცხულ სპეციალისტს ისევ გაუჩნდა ფეხბურთში დაბრუნების შანსი, "ბაიერისა" და დაუმის მშვიდი ცხოვრება სამხრეთ გერმანულმა "ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა" დაარღვია.

როგორც ერთ-ერთი ავტორიტეტული გაზეთი ამტკიცებს, მოწესრიგებულ გუნდად მიჩნეული ლევერკუზენის "ბაიერი", სინამდვილეში, უკანონობას და თაღლითობას უწყობდა ხელს. ჟურნალისტები გუნდის კაპიტანს იენს ნოვოტნისა და კრისტოფ დაუმს შემოსავლის დამალვასა და გადასახადებისაგან თავის არიდებას აბრალებენ. ეს გერმანიაში საკმაოდ სერიოზულ დანაშაულად ითვლება და ძირითადად, მდიდარი ხალხისათვის დამახასიათებელი სენია. მოგეხსენებათ, რაც უფრო დიდი ქონების მფლობელია ესა თუ ის პიროვნება, მით უფრო მეტი თანხის გადახდა უწევს. მძიმე შრომის შედეგად მოპოვებული ფულის გადასახადებში გადაყრა ყველაზე მეტად სპორტსმენებს ეძნელებათ და ამიტომაცაა, რომ უფრო ხშირად სწორედ ისინი ხვდებიან ურჩ გადამხდელთა სიაში, გავიხსენოთ, თუნდაც, შტეფი გრაფთან და ბორის ბეკერთან დაკავშირებული სკანდალები.

ჰოდა, ახლა ირკვევა, რომ თურმე "სანიმუშო" ბაიერელებიც არ თაკილობდნენ თაღლითობას. ქალაქ კიოლნის პროკურატურა იენს ნოვოტნის საქმეს იძიებს, ჰამბურგის პოლიცია კი დაუმის აფერაში გარკვევას ცდილობს.

### კაზუსი - იენს ნოვოტნი

ლევერკუზენის "ბაიერის" კაპიტანმა გასული სეზონის მიწურულს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩში "მანჩესტერ იუნაიტედთან" უმძიმესი ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა. ტრავმის გამო, ნოვოტნი მუნდიალზე ვერ გაემგზავრა.



იენს ნოვოტნი

REUTERS

1996 წელს ახალგაზრდა მცველი იენს ნოვოტნი "კაიზერსლაუტერნიდან" "ბაიერში" გადავიდა. სატრანსფერო თანხად, ოფიციალურად, 1,4 მილიონი მარკა დასახელდა, მაგრამ ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ სინამდვილეში ნოვოტნიმ მიიღო 10 მილიონი მარკა, რომელიც მისი ბიძისა და მრჩევლის, გეორგ ბიშოფის სახელზე გადაირიცხა ისე, რომ გადასახადების გასტუმრება აზრადაც არავის მოსვლია. რა თქმა უნდა, საქმე ეგრეთ წოდებულ "შავ ფულს" ეხება, რაც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 370 პარაგრაფის მიხედვით, 360-დღიან პატიმრობას, ან 50000 ევროს ჯარიმას ითვალისწინებს. იენს ნოვოტნი ჯერ კიდევ მკურნალობს და გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს. თავისი ფეხბურთელის უდანაშაულობა "ბაიერის" თავკაცს კლაუს ტოპმიოლერსაც სჯერა, რომელმაც ამ საკითხს სპეციალური სხდომა მიუძღვნა და განაცხადა, რომ ნოვოტნი აბსოლუტურად სუფთაა. ერთადერთი, რაც "ტოპის" აწუხებს, ეს პრესის გადაჭარბებული ყურადღებაა. მან ხომ კარგად იცის, რომ მისი კლუბი, ერთი კვირის განმავლობაში, ყველა ჟურნალ-გაზეთის წამყვანი თემა იქნება.

### კრისტოფ დაუმის მორიგი აფიორა

უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილ კრისტოფ დაუმს ისევ სასამართლოში წანწალი ემუქრება. შეიძლება, შეგეცოდოს კიდეც ეს პიროვნება, მის პროცესს ხომ ძლივს ეღირსა დასრულება და სწორედ მაშინ, როცა იგი ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებდა, საკუთარმა ადვოკატმა უჩივლა. მატიას პრინცი ამჟამად უკვე აღარ არის დაუმის ადვოკატი, რადგან დაუმმა მას ჰონორარი არ გადაუხადა. პრინცი ჰამბურგის სასამართლოში ჩივის და თავის კუთვნილ 250000 მარკას ითხოვს.

საქმე მარტო ჰონორარის გადაუხდელობას რომ ეხებოდეს, დაუმს საგანგაშო არაფერი ექნებოდა, მაგრამ პრინცმა ყოფილ კლიენტზე სრულფასოვანი შურისძიება გადაწყვიტა და სასამართლოს ყველა ის საიდუმლო წარუდგინა, რასაც დაუმი მას, როგორც თავის ადვოკატს, არ უმალავდა. პრინცი ამტკიცებს, რომ "ბაიერი" დაუმს იმაზე ბევრად მეტ თანხას უხდიდა, ვიდრე ეს საბუთებში იყო გაფორმებული. ის კი ამ ფულს, რა თქმა უნდა, ჯიბეში იდებდა და საშემოსავლო გადასახადს არ იხდიდა, რითაც კანონს არღვევდა.

ამას გარდა, პრინცმა 2000 წელს დაუმისგან მიიღო დავალება - მას თავისი კლიენტისთვის გერმანიის ფეხბურთის ფედერაციასთან უნდა გაეფორმებინა ოთხმილიონიანი კონტრაქტი ანუ დაუმს სურდა მიეღო თითქმის იმდენივე, რამდენსაც "ბაიერში" იღებდა. ასე რომ, ლევერკუზენელთა ექსთავკაცს ორმაგი შემოსავლის წყარო ჰქონდა, რაც ასევე კანონის დარღვევაა.

მოკლედ, დაუმი ნელ-ნელა ისევ ეფლობა იმ ჭაობში, საიდანაც ცოტა ხნის წინ ძლივს მოახერხა ამოსვლა. თუ ბრალდება დამტკიცდება, ის, ალბათ, ვეღარასოდეს შეძლებს რომელიმე ევროპულ გუნდში საქმიანობის განახლებას და სამუდამოდ მიეკერება ექსმწვრთნელის არცთუ ისე სახარბიელო იარლიყი.

## "სპარტა" ქუთაისს იმედიანად ესტუმრა

თეიმურაზ ფირცხალავა

6 ივლისს, დღის 3 საათზე ჩარტერული რეისი, პრაღა-ქუთაისი კოპიტნარის აეროპორტში დაეშვა, რომელსაც ჩამოჰყვა ჩეხთა 80 კაციანი დელეგაცია, მათ შორის 25 გუნდის წარმომადგენელი გახლდათ, 14 კი ჟურნალისტი, დარანჩენები-გულშემატკივრები. გუნდი "ტორპედოს" საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდა და როგორც განაცხადეს, პირობებით საკმაოდ კმაყოფილნი დარჩნენ.

საღამოს 7 საათზე, სავარჯიშოდ ,"ტორპედოს" სტადიონზე პირველი მასპინძელი გავიდა, ხოლო 8 საათზე ისინი ჩეხებმა შეცვალეს. ვარჯიშებს შორის შუალედში, სტადიონზე წინასწარ დაგეგმილი პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა ბევრ საინტერესო კითხვას გასცა პასუხი.

**იოზეფ იარაბინსკი:**

არაფრის დიდებით არა გვაქვს უფლება მოდუნებისა და ამიტომ, მთელი ძალით ვითამაშებთ. ჩვენი გუნდი მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გადის და იგივეს ვეცდებით ხვალაც. მომავალ მეტოქეზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ჩვენი ხვალინდელი მეტოქე "ტორპედოა" და მასზე უნდა ვიფიქროთ. პობორსკი მართლაც კარგ ფორმაშია, მაგრამ კიდევ უნდა მოუმატოს, რათა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდროს ადგილი, ამიტომ ის მთელი თავგამოდებით შრომობს და ვფიქრობთ, ჩვენს იმედებს გაამართლებს. თქვენი გუნდიდან პირველ მატჩში ძალიან მომეწონა ნომერი 20 (ასათიანი), ნომერი 17 (ჭელიძე) და რა თქმა უნდა, მეკარე. რაც შეხება შეკითხვას, წლევანდელი "სპარტა" უფრო ძლიერია თუ შარშანდელი, მე ძალიან მსურს, რომ წლევანდელი უკეთესი იყოს და ასეც იქნება. პროგნოზებს არ ვაკეთებ. მჯერა, რომ ხვალ ძლიერი გაიმარჯვებს.

**ალექსანდრ შტელინი:**

პირველი მატჩის ანგარიში ნამდვილად არ გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ თუ ბიჭები მოინდომებენ და თავიანთ შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენენ, ალბათ, აქ უფრო თავისუფლად ითამაშებენ და საკუთარი გულშემატკივარის თვალწინ არ შერცხვებიან. რაც შეეხება ასათიანის ფასს, მე ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა. არც ის შეეფერება სიმართლეს, თითქოს იგი გუნდში ბოლო თამაშს ატარებდეს, მართალია, მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე კლუბთან, მისი გაყიდვის შესახებ, მაგრამ, კონკრეტულად რომელი კლუბის წევრი გახდება იგი, ვერ გეტყვით.

## ქურდობა ბრიტანეთის მუზეუმში

ბრიტანეთის მუზეუმიდან ანტიკური ქანდაკების თავი მოიპარეს. ქურდმა ზედამხედველებისა და დამთვალიერებლებისაგან შეუმჩნევლად შეძლო 12-სანტიმეტრიანი ქანდაკების თავის გამოტანა. გაქურდვის შესახებ სწორედ იმ დღეს შეიტყვეს მუზეუმში, როცა ნეილ მაკგრეგორმა, ნაციონალური გალერეის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ბრიტანეთის მუზეუმის დირექტორის პოსტი ჩაიბარა.

მუზეუმების მუშაკები, ხელოვნებათმცოდნეები, კოლექციონერები და დილერები ანტიკური იშვიათობის გამოჩენას არტ-ბაზარზე ელოდებიან. ინტერპოლი აღნიშნავს, რომ ისევე როგორც ბევრ ანტიკურ ქანდაკებას, ამ რარიტეტსაც ცხვირი დაზიანებული აქვს. მოპარული ქანდაკების თავი ბრიტანეთის მუზეუმმა 1922 წელს შეიძინა და ამჟამად მისი მიახლოებითი ფასი 25 ათასი ფუნტი სტერლინგია.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდის მანძილზე ბრიტანეთის მუზეუმს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ათი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ მუზეუმის ფონდების შესანახად გამოყოფილი თანხები 30 პროცენტით შემცირდა. მნახველებისთვის საშტატო ერთეულის ნაკლებობის გამო, მუზეუმის 100-მდე გალერეა რეგულარულად დახურულია. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 150 სამუშაო ადგილი შეამცირეს. ბრიტანეთის მუზუმი სახელმწიფოსგან ყოველწლიურად 35 მილიონ გირვანქა სტერლინგს იღებს. მაგრამ ეს აშკარად არ არის საკმარისი მუზეუმის შესანახად, მით უმეტეს, რომ დამთვალიერებლებს შესვლაში ფულს არ ახდევინებენ.

## მიხეილ კოზაკოვმა აღიარა, რომ კგბ-ს აგენტი იყო

ცნობილმა მსახიობმა მიხეილ კოზაკოვმა აღსარება დაწერა და გამოსცა კიდეც, რომელშიც აღიარებს, რომ კგბ-ს აგენტი იყო. ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რატომ გააკეთა აღსარება სახალხოდ, კოზაკოვი პასუხობს: “40 წლის განმავლობაში ჩემი საქციელი საშინლად მტანჯავდა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, საქვეყნოდ აღიარების შემდეგ უფრო კარგად ვგრძნობ თავს, თითქოს ეს ყველაფერი ჩემგან წავიდა. შეიძლება ვილაცას ეს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ მე ეს უნდა გამეკეთებინა და გავაკეთე კიდეც. კგბ-მ მსახიობი 1957 წელს აიყვანა აგენტად. სპეცსამსახურის პირველი დავალებით ის ფრანგ ჟურნალისტ ქალბატონს დაუახლოვდა. როგორც მსახიობი ამბობს, მან აღსარების წერა ჯერ კიდევ 1979 წელს დაიწყო.

სულიერი ტკივილების მიუხედავად, მიხეილ კოზაკოვი არ წყვეტს აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. ამჟამად ის იღებს ფილმს “ჯოკერი”. აპირებს მეფე ლირის როლი შეასრულოს მოსსოვეტის თეატრში. შემოდგომაზე კი პუშკინის მოთხრობების კითხვას მოაწყობს ტელევიზიით.

## ქართული პოპი უცხოეთში

ლატვიის კურორტ იურმალაში, პოპულარული მუსიკის ახალგაზრდა შემსრულებლების საერთაშორისო კონკურსის, “ახალი ტალღის” გამარჯვებული რუსული დუეტი Smash გახდა. როგორც “ეხო მოსკვი” იუწყება 17 და 19 წლის გამარჯვებულები 20 ათას დოლარს მიიღებენ. მეორე ადგილზე გავიდა უზბეკური წარმოშობის ამერიკელი მარინა ჩელო, მესამეზე – ლატვიელი მომღერალი ჯეი სტივერი, ხოლო მაყურებლის სიმპატია იზრაელში მცხოვრებმა შავკანიანმა ედი ბატლერმა მოიპოვა.

ქართველ მსმენელს საშუალება ჰქონდა კონკურსისთვის თვალი ედევნებინა - პირდაპირ ტრანსლიაციას ტელეკომპანია პრ აწარმოებდა. კონკურსზე "არტ-იმედის" წარგზავნილი ქრისტინე იმედაძეც მონაწილეობდა. პირველ ტურში მან გათანამედროვებული “მოხევის ქალო თინაო” იმღერა, რის შემდეგაც, მან მონაწილეთაგან ყველაზე დაბალი ქულები მიიღო. მეორე ტურში, რომელზეც ახალბედა მომღერლებს მსოფლიოს ჰიტები უნდა შეესრულებინათ, ქრისტინე პოპულარული სიმღერით, “ბესამე მუჩოთი” წარსდგა. ქრისტინემ, შეიძლება ითქვას, ეს მუსიკალური ნაწარმოები გალექსა, რადგან უბრალოდ არც ხმა და მგონი, არც სმენა ეყო მაღალი ნოტების ასაღებად და ამ ტურშიც, ცხადია, დაბალი ქულები მიიღო. სამაგიეროდ ქრისტინემ კარგად იზრუნა ჩაცმულობაზე, პირველ ტურში პუანტებით, მეორე და მესამე ტურზე კი მაკა ასათიანის სამოდელო სახლში შეკერილი სამოსით გამოვიდა. მაგრამ, ბუნებრივია, მხოლოდ ეს ჟიურის ვერ მოხიბლავდა.

ქართველი პოპულარული მუსიკის მოყვარული მსმენელი კი ქრისტინე იმედაძის წარუმატებლობის მერე თავს თაკო გაჩეჩილაძის მიღწევით იმშვიდებს. ცოტა ხნის წინ, რუსეთშიც გაიმართა მუსიკალური კონკურსი, სახელწოდებით Сла-вянский Базар, სადაც თაკო გაჩეჩილაძემ პირველი ადგილი აიღო.



# სიუზენ სარანდონი-2202



ასე აღნიშნეს სიუზენ სარანდონმა და ტიმ რობინსმა ვარსკვლავის მოპოვება REUTERS

სიუზენ სარანდონის ასაკში მსახიობებს ჰოლივუდური კონტრაქტების მოპოვება სულ უფრო უჭირთ. თუმცა, სარანდონი ასეთთა რიცხვს არ მიეკუთვნება. ამის დასტურია ისიც, რომ წელს მისი მონაწილეობით სამი ფილმი გამოვა. კინოში გაწეული ღვაწლი მსახიობს ჰოლივუდმა გუშინ დაუფასა – კოდაკის თეატრთან, შოუბიზნესის ვარსკვლავებით აჭრელებულ ტროტუარზე რიგით 2202-ე ვარსკვლავიც მოათავსეს, რომელიც სარანდონს ეკუთვნის. საზეიმო ღონისძიებას მსახიობი თავის ერთგულ პარტნიორთან, რეჟისორ ტიმ რობინსთან ერთად ეწვია. ცერემონიალს მისი ოჯახის წევრები, ასობით ფანი და მეგობარი დაესწრო. მათ შორის იყვნენ რაიან ფილიპი და კიერენ კალკინიც – ისინი სარანდონს ახალ კომედიაში Igby Goes Down უწევენ პარტნიორობას, რომლის პრემიერაც სექტემბერშია დაგეგმილი. დიდ ეკრანებზე 20 სექტემბერს გამოვა სარანდონის მეორე ნამუშევარიც, ასევე კომედია, The Banger Sisters. ფილმში სარანდონთან ერთად მონაწილეობენ გოლდი ჰოუნი, ჯეფრი რაში და რობინ ტომასი.

# ამერიკელ მოზარდთა რჩეულები

ახლახან გამართულმა ცერემონიალმა ცხადჰყო, რომ ამერიკელი მოზარდების გემოვნება არ შეცვლილა - ბრიტნი სპირსი კვლავაც მათი საყვარელი მომღერალია. ღონისძიებაზე US Teen Choice Awards სპირსს საუკეთესო ქალი შემსრულებლის ჯილდო გადასცეს. სპირსმა მეორე საპატიო ჯილდოც მიიღო, როგორც ყველაზე მოდურმა ქალმა. ის სცენაზე გამოცხადდა უმცროს დასთან, ჯეიმი ლინთან ერთად, რომელიც აუდიტორიის წინაშე თავს თითქმის ისევე თავისუფლად გრძნობდა, როგორც მისი პოპულარული და. ცნობისთვის: ამერიკელი მოზარდების მუსიკალური გემოვნების ხარისხს ფესტივალის ორგანიზატორები ჟურნალ Seventeen-ის მკითხველი თინეიჯერების გამოკითხვით ავლენენ. საუკეთესო მამაკაცი შემსრულებელი გახდა რეპერი ჯა რული, ნელიმ კი პრიზი საუკეთესო სინგლისთვის აიღო. ადამ სანდლერი დააჯილდოვეს, როგორც საუკეთესო კომიკოსი, ოზი ოსბორნის ოჯახს კი პრიზი მათი გახმაურებული ტელეშოუსთვის გადასცეს.



ბრიტნი სპირსი "ოსტინ პაუერსის" გმირ მინი-მისთან ერთად REUTERS

# დენზელ ვაშინგტონი ახალ ამპლუაში

დენზელ ვაშინგტონი, რომელიც წლევანდელი ოსკარის ცერემონიალის კერპი გახდა, ახალი წარმატების მოლოდინშია. მას ტორონტოს 27-ე კინოფესტივალზე თავისი სარეჟისორო დებიუტი, ფილმი The Antwone Fisher Story ჩააქვს. ფესტივალის ორგანიზატორების ცნობით, ფილმის პრეზენტაცია საზეიმო გალას ფონზე შედგება. The Antwone Fisher Story-ის მთავარი გმირი ფსიქიური პრობლემების მქონე მეზღვაურია (დერეკ ლუკი), რომელიც დახმარებისთვის ფსიქიატრს (ვაშინგტონი) მიმართავს და მისი შემწეობით გამოჯანმრთელდება კიდეც. დეკემბრის შუა რიცხვებში, ვაშინგტონი თავის ახალ ნამუშევარს ამერიკელ მაყურებელსაც წარუდგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ტორონტოს კინოფესტივალი მსახიობს კარგად აქვს დაცდილი. შარშან ის ფესტივალზე ფილმ Training Day-ს პროპაგანდისთვის იყო ჩასული – ვაშინგტონმა "ოსკარი" სწორედ ამ ფილმში განსახიერებული როლისთვის მიიღო. ტორონტოს საერთაშორისო ფესტივალი 5-14 სექტემბერს გაიმართება.


უ ფ ა ს ო მკურნალობა

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

ფირმა "სალხინო" აგვისტოს თვეში ჩაუტარებს უფასო მკურნალობას მშობიარეობის შემდეგ გართულებული მასტიტებით და აგრეთვე მასტოპათიებით დაავადებულებს. საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფები მოთავსდებიან კლინიკებში და ჩაუტარდებათ უფასო გამოკვლევა.

მისამართი:
აღმაშენებლის 115.
ტელ. 959060
მიღება ყოველ დღე 11.00-17.00
შაბათ-კვირის გარდა.

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


# TV პროგრამა 7 აგვისტო

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ტიტუსი" მთ. როლებში ენტონი ჰოპკინსი, ჯესიკა ლანჟი

## პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.15 მოამბე
08.10 "დღესასწაულის მიწა"
08.35 სერიალი "კობრა"
09.20 მულტსერიალი "საბრალონი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 18.45 ვიდეოპატრული
12.55 მხ.ფ. "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ"
14.45 "მოდი ვიცეკვოთ"
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. დანია - ინგლისი (განმეორებითი ჩვენება)
17.15 50-50 18.00 ვესტნიკი
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
18.55 სან-ფრანცისკოს ბალეტის ვარსკვლავები
19.40 ბასტი-ბუბუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 ეკოდაიჯესტი
22.15 მხ. ფილმი "ყვითელი შადრევანი"
23.50 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.25 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.45 სერიალი "კობრა"

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "განკითხვის ჟამი"
20.45 "წმინდანები"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "დღეს ღამე უთენებია"

## ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-2 სერია
19.30 საუბრები მწვანე ბუხართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა
21.30 თინეიჯერი
23.30, 00.30 მხ.ფ. "მზის დამჭერი"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "უკანმოუხედავად"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.20 ძველი კინო "ტაქსისტი"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "ზღვის მგელი"
22.15 მხ.ფ. "კეიტი და ლეო"
00.30 ღამის ფილმი

## პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.30 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
12.15 "მო" განმეორებით
13.45 მხ.ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ჩარლის ანგელოზები"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 მიქს-ათეული
21.45 "მოკლე სეანსი"
22.00 "ინფარმატორი"
22.30 "არასარეკლამო ათეული"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "უცხოპლანეტელი". მთ. როლებში ბერი სინიზი, მედლინ სტოუ
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "სექსის საწინააღმდეგო" მთ. როლებში კრისტინა რიჩი, მარტინ დონოვანი
03.20 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. "სეიფების მძარცველი"
14.00 მხ.ფ. "სიჩქარე"
16.10 მუსიკა
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ტაქსი 2"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
22.30 მხ.ფ. "მგლის საქმო"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" 21-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 21-ე სერია
10.15, 12.45, 13.50, 15.40, 17.25, 22.05, 23.55, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.ფილმი "ლომი ზამთარში"
13.00 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი შიგნიდან"
14.00, 14.45, 21.10 დისქავერი
14.45 მხ. ფილმი "ცრუ იაკობი"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 22-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 22-ე სერია
18.45 მხ. ფილმი "ანაკონდა" მთ. როლში ჯენიფერ ლოპესი
20.20 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა"
22.15 მხ.ფ. "საკალათბურთო ჩანაწერები". მთ. როლში ლეონარდო დი კაპრიო
00.40 მხ.ფ. "ყველაფერი დედაჩემის შესახებ". მთ. როლებში სელია გოტა, პენელოპა კრუსი

## აჭარის ტელევიზია

03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 კომედია "შვებულება ლას-ვეგასში"
11.05 "რა არ ხდება"
11.15 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი "ჰერაკლე მოლოხის წინააღმდეგ"
13.50 თრილერი "სამყაროს სახურავი"
15.25 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი "ბემბი"
17.25 თრილერი "მგლების ზონა"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 კომედია "ქალბატონები იწვევენ კავალრებს"
20.40 ქართული ფილმი "ცეროდენა რაინდები"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "Пресс-папье"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 მელოდრამა "ახალგაზრდა ეკატერინე" 1 სერია
03.30 თრილერი "ფენიქსი"
05.10 დოკუმენტური ფილმი

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.40 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
10.50 "პაემანი" (განმეორებით)
11.40 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.45 "სახლიდან გაუსვლელად"
12.15 მულტსერიალი
12.30 მუსიკალური ტაიმაუტი
12.55 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
13.20 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 "სახლიდან გაუსვლელად"
14.20 სპორტი
14.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.25 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.45 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.50 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.10 მოკლედ... სპორტი
21.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.30 "სახლიდან გაუსვლელად"
22.00 ფეხბურთი.-"ოთხთა ტურნირი" - ნახევარფინალი
00.00 პრესის მიმოხილვა
00.10 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "ჟანა დარკი". - 1 სერია
02.10 "სახლიდან გაუსვლელად"
02.40 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "семейные узы"
11.10 "Знатоки" возвращаются. Дело№3. "С ПОЛИЧНЫМ"
13.15 Сериал «ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО «ЛУННЫЙ СВЕТ»
14.15 "Народ против". Телеигра.
15.00 "ОСТРОВ СТРАХА"
16.20 "Кумиры"
16.50 "ТЕНИ ИЗЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ". 2-я серия
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
20.15 "Шутка за шуткой"
20.40 х.ф. "КОЛЬЕ ШАРЛОТТЫ"
22.00 Время.
22.35 "ОСТРОВ СТРАХА"
23.40 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА"
01.00 Ночное "Время"
01.15 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.05 "ЧЕЛОВЕК НЕОТКУДА"

## РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.15 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.30 Вести. Дежурная часть
10.10 "Моя семья"
11.00 "ЦЫГАН"
12.20 "КАМЕНСКАЯ". Фильм 3-й "УБИЙЦА ПОНЕВОЛЕ"
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОЙНТ"
15.25 Лучшие матчи чемпионата мира по футболу.
17.30 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
19.50 х.ф."ВОРОВКА"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "КАМЕНСКАЯ"
23.00 х.ф."АХИЛЛЕСОВА ПЯТА"
00.00 Вести - Подробности
00.30 Легкая атлетика. Чемпионат Европы.
02.20 "НЕБО В АЛМАЗАХ"

## НТВ

07.00 "СЕГОДНЯ УТРОМ"
09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: "ШЕСТЕРКА" НАЧИНАЕТ ИГРУ"
11.00, 13.00, 15.00,17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ
11.20 "КВАРТИРНЫЙ ВОПРОС"
11.55 "СРЕДА" экологическая программа
12.20 "ВЫ БУДЕТЕ СМЕЯТЬСЯ!" Ян Арлазоров
12.50 Вкусные истории
13.20 Сериал "Д'АРТАНЬЯН И ТРИ МУШКЕТЕРА"
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня: "ГРАЖДАНСТВО, КОТОРОЕ МЫ ВЫБИРАЕМ"
16.25 "КРИМИНАЛЬНАЯ РОССИЯ : ОТМОРОЗКИ".
17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
18.35 "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ" боевик режиссера Джона Ву
19.40 "КРИМИНАЛ"
20.40 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ТРУБКА ФИРМЫ "ДАНХИЛЛ"
21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ" детективный сериал
23.35 "ТРОЕ" сериал. США 00.00 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

# იაპონური კროსვორდი

